თბილისის "ვერშემდგარი" საკრებულო ზოდელავას გადაყენებით ემუქრება A3

პარლამენტში დაღვრილი ენერგეტიკული ვნებები A3

პრეზიდენტ ბუშზე მოსალოდნელი თავდასხმა აღკვეთეს A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 6 სექტემბერი, 2002 წელი. №96

ფასი 50 თეთრი

## ანდრია პირველწოდებულის მესამე შემობრძანება

ზაზა ფარუაშვილი

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II თხოვნით ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსმა უნეტარესმა ქრისტოდულოსმა საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა ჩამოაბრძანა. სტუმრებს აეროპორტში ერი და ბერი ერთად დახვდა. მღვდლებმა მხრებზე შედგმული წმინდა ნაწილები მორწმუნეთა ხელებატყილ მწკრივში გამოატარეს. წმინდა ნეშტს უკან მართლმადიდებლობის ორი ბურჯი მოჰყვებოდა. ხალხი მათ წინაშე მუხლს იყრიდა და კურთხევას იღებდა. კახეთის გზატკეცილი სამთავრობო ესკორტითა და მორწმუნეთა ტრანსპორტით ისე გაიჭედა, მანქანები ერთმანეთს გვერდს ვერ უვლიდნენ.

საქართველოს პატრიარქმა და საბერძნეთის მთავარეპისკოპოსმა სიონის საკათედრო ტაძარში საზეიმო პარაკლისი სამ საათზე დაასრულეს, მაგრამ ტაძარში შემსვლელი ხალხის ნაკადი საღამომდე არ დალეულა.

საპატრიარქოში შეხვედრაზე ორი ქვეყნის სულიერმა მამებმა ქართველი და ბერძენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ისაუბრეს და ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემა გამოხატეს.

საქართველოს პატრიარქი ილია II: **"ჩვენთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთთან და ბიზანტიასთან ურთიერთობას. როცა დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემია გახსნა, თქვა, ეს იქნება მეორე ათენი და ახალი იერუსალიმიო. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი მოკრძალებული თხოვნით ჩამოიტანეთ**

გაგრძელება A4 გვერდზე



*მღვდლებს წმინდა ნაწილები მოაქვთ.*

ბესო გულაშვილის ფოტო

## არასტაბილური სტაბილურობის სტაბილურობა

ეკა კვესიტაძე

ლოზუნგი "დესტაბილიზაციიდან სტაბილურობამდე" ბოლო წლებში შევარდნაძის მოღვაწეობის განუყრელი ატრიბუტი იყო და, გარკვეულწილად, მისი წარმატების საიდუმლოებასაც ატარებდა, რადგან ეს საკრალური სიტყვები ყველას აიძულებდა, ერწმუნა – სტაბილურობა შევარდნაძემ შექმნა და შევარდნაძეა მისი შენარჩუნების გარანტიც.

მაგრამ პრეზიდენტის შექმნილი სტაბილურობა ყოველ შემოდგომაზე საფრთხის წინაშე დგება. უფრო სწორად, ტრადიციისამებრ, ყოველ ზაფხულს იწყება საუბარი საშემოდგომო დესტაბილიზაციაზე, თუმცა, როგორც წესი, ეს პროგნოზი არ მართლდება და ყველაფერი პაროდიას უფრო ემსგავსება.

ამგვარი პროგნოზებით წლევანდელი ზაფხულიც დატვირთული იყო. თუმცა, საშემოდგომოდ სიტუაცია ნაწილობრივ განიმუხტა. და მაინც, რამდენად რეალური და მოსალოდნელია დესტაბილიზაცია ამ შემოდგომაზე?

პანკისის დაბომბვამ შიდა პოლიტიკაში აქცენტები დროებით, მაგრამ მაინც შეცვალა. მედიის, პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის ყურადღების ცენტრში პანკისში დაწყებული სპეცოპერაცია და რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესად დაძაბული სიტუაცია მოექცა.

შევარდნაძეს, როგორც ყოველთვის, ახლაც გაუმართლა. შიდა პოლიტიკური კრიზისი პანკისის მოვლენებმა გადაფარა. პრეზიდენტის პოზიციები ამერიკის ადმინისტრაციის განსაკუთრებულმა მხარდაჭერამ გააძლიერა და შევარდნაძე, რომელიც საკმაოდ

გაგრძელება A4 გვერდზე

## 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ ინფორმაციას, თურმე, საქართველოშიც ფლობდნენ

"ავღანეთიდან ირიდიუმის ტელეფონის მეშვეობით დარეკეს," ვარაუდობენ უშიშროების სამინისტროში

ზაზა წულაძე

*საქართველოს უშიშროების სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ გასული წლის 11 სექტემბერს, თხუთმეტი წუთის შემდეგ, რაც ნიუ-იორკში "ბოინგის" ტიპის ორი სამგზავრო თვითმფრინავი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ცათამბჯენებს შეასკდა, მესამე თვითმფრინავი კი ვაშინგტონში პენტაგონის მარცხენა ფლიგელს დაენარცხა, საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც გაისმა სატელეფონო ზარი ავღანეთიდან, რომლის დროსაც ისაუბრეს "ძალიან კარგ ამბავზე" და იმაზე, რომ "კიდევ ერთი მიზნისკენ უკვე მიფრინავენ". ამერიკის სპეცსამსახურების მონაცემებით, ავღანეთიდან ზარის ავტორი "ალ ქაიდას" ორგანიზაციის წევრი იყო. ეს სენსაციური ცნობა გუშინ, საღამოს გამოშვებაში ამერიკული ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-ის სპეცკორესპონდენტმა დევიდ მარტინმა გაავრცელა.*

**"ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს ასეთი ინფორმაცია ჩვენთვის არ მოუწოდებიათ, თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გასული წლის 11 სექტემბერს მართლაც იმყოფებოდნენ საერთაშორისო ტერორისტები, მათ შორის,**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ლიბია, შეიძლება გახდეს პირველი ბირთვული არაბული სახელმწიფო

ლევან ღირსიაშვილი

*ისრაელის მოსახლეობა ერაყის წინააღმდეგ თავდაცვითი ომისათვის გამალებული ემზადება, მაგრამ ქვეყნის ლიდერი აცხადებს, რომ საფრთხე ისრაელს, შესაძლოა, სულ სხვა მხრიდან დაემუქროს.*

ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის განცხადებით, ლიბია, შესაძლოა, გახდეს პირველი არაბული სახელმწიფო, რომელსაც ექნება მასობრივი განადგურების იარაღი. შარონი ვარაუდობს, რომ ლიბიას ბირთვული იარაღის შექმნაში ჩრდილოეთ კორეა, ერაყი და, შესაძლოა, პაკისტანიც ეხმარებიან, ხოლო იარაღის წარმოებას საუდის არაბეთი აფინანსებს.

როგორც ცნობილი გახდა, ისრაელის ხელისუფლება უკანასკნელ ხანებში საგულდაგულოდ ამზადებს თავის მოქალაქეებს ერაყის მხრიდან მასობრივი განადგურების

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსი სამხედროები ქართული გამოძიების მასალებს შეისწავლიან

ინგა ალავიძე

გუშინ თბილისში ჩამოფრინდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა დელეგაცია - რუს სამხედროთა 20-კაციანი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პანკისის ხეობის დაბომბვის საქმის გამოძიებაში.

რუსეთის სამხედრო დელეგაციას ხელმძღვანელობს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზელინი და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ რომანენკო. ქართველ სამხედროთა კომისიას უხელმძღვანელებს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი თენგიზ ომხრელი.

**"ჩვენი მიზანია, პირველ რიგში, გავეცნოთ 23 სექტემბრის დაბომბვასთან დაკავშირებით ქართველ სამართალდამცველთა მიერ შეგროვებულ მასალებს,"** – განუცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუს ჟურნალისტებს გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ იური ბალუევსკიმ. მისივე თქმით, რუსეთის დელეგაცია მზადაა, ქართველ კანონდამცველებს წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, სამხედრო კონტროლის მონაცემებიც. ბალუევსკის მტკიცებით, ეს დოკუმენტები დაადასტურებენ, რომ რუსეთს პანკისის ხეობის დაბომბვაში მონაწილეობა არ მიუღია.

ბალუევსკიმ ქართველ ძალოვანებს პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაცია დაუწუნა და განაცხადა: **"ეს ოპერაცია წმინდა წყლის ბუტაფორია და იმიტაციაა. ხეობაში დაბანაკებული ბოევიკები ინფორმაციას წინასწარ ფლობდნენ მოსალოდნელი ოპერაციის შესახებ, ამიტომაც მათ**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქონების მართვის სამინისტრო თვითლიკვიდაციას აჭიანურებს

გვანცა კვინიკაძე

*ანტიკორუფციული ბიურო ქონების მართვის სამინისტროსა და უშუალოდ მინისტრ პავლიაშვილს ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პასუხს სთხოვს. ამ გეგმის თანახმად, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით აპრილში დამტკიცდა, ქონების მართვის სამინისტროს პირველ ივნისამდე უნდა მოემზადებინა წინადადებები სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიის შექმნისთვის, რომელიც სახელმწიფო წილებისა და აქციების მართვას განახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციითვე, ქონების მართვის სამინისტრო უნდა გაუქმდეს და მისი ფუნქციები ზემოხსენებულმა ჰოლდინგმა და ფინანსთა სამინისტრომ უნდა გადაინაწილონ. ანტიკორუფციულ ბიუროში მიაჩნიათ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს რეკომენდაციაა, ანუ ქონების მართვის სამინისტროში სწორედ გავლენისა და ადგილების დაკარგვის შიშით აჭიანურებენ ჰოლდინგის შექმნის პროცესს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## „არის ასეთი პარტია!" – თბილისელ „მოქალაქეთა" შესრულებით

გუშინ ოპერაში უძრაობის ხანა იდგა

თამარ მჭედლიშვილი

***"ნამდვილი თბილისელები მოქალაქეთა კავშირის გვერდით უნდა დადგნენ. საქართველოს დიდი მომავალი აქვს. ჩვენ ისეთ განსაცდელს გავუძელით, სხვა ერები რომ ვერ გაუძლებდნენ. ჩვენი დამარცხება შეუძლებელია," – პრეზიდენტ შევარდნაძის გამოსვლის ამ ბოლო აკორდმა სრულად გამოხატა ის სულისკვეთება, რომელიც ოპერის თაეტრში შეკრებილ საზოგადოებაში სუფევდა. გუშინდელ დღეს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის გვერდით დარჩენილმა თბილისელმა "მოქალაქეებმა" "ისტორიული" უწოდეს – განახლდა პარტიის საქალაქო ორგანიზაცია, აირჩა ახალი ხელმძღვანელობა, დაიგმო წინამორბედთა საქმიანობა და დაიდო პირობა, რომ "თითოეულ ოჯახში, ქუჩაში, უბანში და სამუშაო ადგილზე "მოქალაქეთა კავშირი" კვლავ დამკვიდრდებოდა".***

ფორუმის ლოზუნგებიც შესაბამის შინაარსობრივ დატვირთვას ატარებდა: **"განახლებული "მოქალაქეთა კავშირი" – ქართული სახელმწიფოებრიობის გარანტი"; "მსოფლმხედველობა – სახელმწიფოებრივი, საზოგადოება – სამოქალაქო, საქმე – საქვეყნო"; "მოქალაქეთა კავშირი" – ეროვნულ ფასეულობათა გარანტი";**

გაგრძელება A3 გვერდზე



*რეზო ამაშუკელი იქადნება.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## შევარდნაძე პუტინის წერილის პათოსით კმაყოფილია

ზაზა წულაძე

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რუსი კოლეგა ვლადიმირ პუტინისგან საკმაოდ მკაცრი საპასუხო წერილი მიიღო, სადაც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი რუსეთის ავიაციის მიერ 24 აგვისტოს პანკისის ხეობის დაბომბვის შესახებ. შევარდნაძემ სწორედ ამ ფაქტის გამო მიმართა პუტინს კერძო წერილით ორი კვირის წინ. სამაგიეროდ, წერილში გაკრიტიკებულია პანკისში მიმდინარე "ანტიკრიმინალური ოპერაცია".*

რუსეთის პრეზიდენტი წერილში აღნიშნავს, რომ საქართველოს სუვერენული უფლებაა, როგორ და რა ფორმით დაამყარებს წესრიგს საკუთარ ტერიტორიაზე, თუმცა, პუტინი უკმაყოფილოა პანკისში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის მეთოდებით, რომელიც **"ბოევიკებისა და ტერორისტების რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობიან შედევნას ითვალისწინებს".**

**"ჩვენ გვსურს, მივიღოთ არა შეიარაღებული, არამედ ბორკილებდადებული ბოევიკები,"** – წერს პუტინი შევარდნაძეს და თან აფრთხილებს, რომ **"საქართველოს ტერიტორიაზე მოკალათებული ბოევიკები და საერთაშორისო ტერორისტები ქართველ ხალხსაც უქმნიან საფრთხეს".**

პუტინის თქმით, რუსეთი კვლავ მზად არის, დაეხმაროს საქართველოს პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარებაში, თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ **"ეს მაშინ მოხდება, როგორც კი საქართველოს მთავრობა პირდაპირი თხოვნით მიმართავს რუსეთს".** სამაგიეროდ, პუტინი მკაცრი ტონით სთხოვს შევარდნაძეს, "დაკავებული ტერორისტები აუცილებლად რუსეთს გადასცენ."

პრეზიდენტი შევარდნაძე გუშინ "მოქკავშირის" ფორუმზევე გამოეხმაურა პუტინის წერილს და აღნიშნა, რომ **"წერილის საერთო პათოსით კმაყოფილი დარჩა".** შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოს საკუთარი ძალებით შეუძლია პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარება და სხვა ქვეყნის სამხედრო დახმარება არ სჭირდება.

საღამოს პუტინის წერილს სპეცბრიფინგით პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი კახა იმნაძეც გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, **"წერილში ბევრი პოზიტიური მომენტია, რომელთა შორის გამოსარჩევია ის, რომ აქამდე რუსეთს ღიად არ დაუფიქსირებია, რომ პანკისში წესრიგის დამყარება საქართველოს სუვერენული უფლებაა".**

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | ☼ |
| ქუთაისი | 31 | |
| ბათუმი | 28 | |
| სოხუმი | 28 | |
| ფოთი | 28 | |
| თელავი | 29 | ☼ |
| ზუგდიდი | 30 | |
| გორი | 27 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1630 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4015 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 ინფორმაცია A2 ეკონომიკა A3 პოლიტიკა A3 სამართალი A4 პოლიტიკა A4 უცხოეთი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**ფოთი.** აშშ ქართველი მესაზღვრეების დახმარების 70 მილიონიან პროგრამას ახორციელებს, - განაცხადა აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურისათვის კატარღის გადმოცემის ცერემონიალზე. კატარღა "გენერალი მაზნიაშვილი", რომლის ძველი სახელწოდება იყო "პოინტ ბეიკერი", ადრე ტეხასისა და ლუიზიანის საზღვარზე ცურავდა. 2001 წელს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ჯგუფი გაემგზავრა აშშ-ში კატარღის მისაღებად და ივლისში ის ფოთში ჩამოიყვანეს. კატარღას საათში 23 კვანძის სიჩქარის განვითარება შეუძლია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ "ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლებზე თავდასხმები გრძელდება. მისი თქმით, ზოგიერთი თავდასხმის ორგანიზატორები პოლიციელები არიან. როგორც ირიბარენმა განაცხადა, 3 სექტემბერს "თელასის" გლდანის ბიზნეს-ცენტრში უცნობმა პირებმა ბომბი ააფეთქეს. გლდანი-ნაძალადევის რაიონის მე-2 ქვეგანყოფილების უფროსმა გოჩა ჩიტაიამ კი აფეთქების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. მისი თქმით, მოთამაშე ბავშვებმა ე.წ. "ხლოპუშკა" ისროლეს. იგნასიო ირიბარენმა აგრეთვე განაცხადა, რომ 2 სექტემბერს ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა "თელასის" ორი ტექნიკოსი სცემეს, ხოლო გასულ კვირას "ეი-ი-ეს თელასის" ერთ-ერთ თანამშრომელს პოლიციელი სიკვდილით დაემუქრა. ირიბარენი მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას პოლიციის რიგებიდან კრიმინალური ელემენტების გათავისუფლებას მოითხოვს. იგი საქართველოში მოღვაწე ინვესტორებს შეხვდა, მათ კი განუცხადებიათ, რომ ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს არარსებობის გამო ქვეყნიდან წასვლას აპირებენ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იტალიური ორგანიზაცია "კარიტასის" ხელშეწყობით საქველმოქმედო პურის საცხობი გაიხსნა. დღეიდან სოციალურად დაუცველი ფენის 200-მდე წარმომადგენელი ყოველდღიურად უფასო პურს მიიღებს. საქველმოქმედო საცხობში 15 ადამიანი დასაქმდა, რომელთა ხელფასი საშუალოდ 250 ლარს შეადგენს. პურის საცხობის ყველა თანამშრომელმა სტაჟირება იტალიაში გაიარა. მინი-საწარმოს დანადგარების ღირებულება 300 ათას აშშ დოლარს აღემატება. მასში 18 სახეობის უმაღლესი ხარისხის პური გამოცხვება. საწარმოს პრეზენტაციას დღეს საქართველოში იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მიქელანჯელო პიმპანი დაესწრო. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** ახლახან აფხაზურმა ოპოზიციურმა გამოცემამ „ნუჟნაია გაზეტამ" ხელმეორედ გამოაქვეყნა ორი წლის წინათ მოკლული, აფხაზეთის სახალხო ფორუმის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ზურაბ აჩბას ინტერვიუ. რესპონდენტი აცხადებდა, რომ რუსეთის შუამავლობით ქართულ-აფხაზური კონფლიქტი პრაქტიკულად ვერ მოგვარდებოდა. „მოსკოვს კონფლიქტის ზონაში აქვს საკუთარი და არცთუ უმნიშვნელო ინტერესი, რაც, რა თქმა უნდა, არ ხმაურდება, მაგრამ მათი გათვალისწინების გარეშე ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკება შეუძლებელია. რუსეთი ამ კონფლიქტში საკუთარ თამაშს თამაშობს. აფხაზეთი რუსეთისთვის მხოლოდ ტაქტიკურ ინტერესს წარმოადგენს, მისი სტრატეგიული ინტერესი კი - საქართველოა. აფხაზეთს ის მხოლოდ ამ მიზნის მიღწევაში იყენებს, - წერდა ზურაბ აჩბა. ამ ინტერვიუს გამო ზურაბ აჩბა აფხაზეთში ერის მოღალატედ შერაცხეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**გალი.** აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გალის რაიონის სკოლებს სასწავლო პროცესის ქართულ ენაზე წარმართვის უფლება არ მისცა.

როგორც საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია აცხადებს, ადრე აფხაზურ მხარესთან არსებობდა შეთანხმება გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის აღდგენის შესახებ, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან სოხუმის გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესი აუცილებელი წესით რუსულ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო ქართული ენა ისწავლება, როგორც ერთ-ერთი საგანი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გამართულ დევნილთა მიტინგში 4 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. აფხაზეთიდან დევნილებმა საქართველოს პრეზიდენტისგან აფხაზეთის დაბრუნების კონკრეტული პროგრამის შემუშავება, კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მდინარე ენგურიდან მდინარე ღალიძგაზე გადანაცვლება და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესისგან აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ჩამოშორება მოითხოვეს. მიტინგის ორგანიზატორთა განცხადებით, დევნილთა მშვიდობიანი საპროტესტო აქციები მანამ არ შეწყდება, სანამ მათ პრეზიდენტი შევარდნაძე არ შეხვდება. სამშვიდობო ძალების მდინარე ენგურიდან მდინარე ღალიძგამდე გადანაცვლების შემდეგ, დევნილთა ვარაუდით, გალის რაიონის ტერიტორიაზე საქართველოს პოლიცია უნდა შევიდეს, რომელიც რაიონში აფხაზური ხელისუფლების მიერ შექმნილ დაძაბულ კრიმინოგენულ ვითარებას გამოასწორებს და დაბრუნებული მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას არ დაუშვებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, ამ დღეებში ქარელში ნახეს გოგონა, რომელიც აღწერილობით ძალიან ჰგავს 24 ივლისს წყნეთში დაკარგულ 15 წლის მარიამ გოგინაშვილს - შს დაცვის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის, პოლკოვნიკ თამაზ გოგინაშვილის შვილს. არსებული ინფორმაციით, გოგონა, რომელიც არ არის გამორიცხული, ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, თითქოს ბორჯომის მატარებელში ჩასვეს. უშიშროების სამინისტროში ამოქმედდა ცხელი ხაზი და დაკარგულის მოსაძებნად ყველა სათანადო ღონისძიება გატარდება, - განაცხადეს სამინისტროში. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**გორი.** ოსური მხარის გადაწყვეტილებით, მომავალი კვირიდან ქართველ ჟურნალისტებს ცხინვალის ტერიტორიაზე აკრედიტაციის გარეშე შესვლა აეკრძალებათ.

ამის შესახებ ოსურმა მხარემ დღეს ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მთავარ შტაბში გამართულ მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე განაცხადა. ოსურმა მხარემ შეშფოთება გამოთქვა საქართველოს შს სამინისტროს პრეს-ცენტრის უფროსის პაატა გომელაურის გუშინდელი განცხადების გამო იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის დასრულების შემდეგ ქართული შენაერთები სპეცოპერაციის ჩასატარებლად სამაჩაბლოში გადაინაცვლებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა პრიზემლინმა განაცხადა, რომ "კონფლიქტის ზონაში დაგეგმილი ნებისმიერი ოპერაცია ქართულმა მხარემ მასთან უნდა შეათანხმოს". **ინტერ-პრესი.**

# 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ ინფორმაციას, თურმე, საქართველოშიც ფლობდნენ

პირველი გვერდიდან

**ორგანიზაცია "ალ ქაიდადან", არ გამოვრიცხავთ, ასეთი სატელეფონო საუბარი მართლაც შემდგარიყო. პანკისის ხეობაში ეთნიკურ არაბთა რიცხვი 100-ს აღწევდა, ბუნებრივია, მათ პენტაგონისა და ცათამბჯენების აფეთქება გაახარებდათ. თუმცა, ჩვენ ამ ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა დღეს არ შეგვიძლია,"** – გვითხრა უშიშროების სამსახურის პრეს-სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-მა ეს ინფორმაცია ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოზე დაყრდნობით გაავრცელა, რომელიც, რადიოელექტრონულ დაზვერვასთან ერთად, მთელი მსოფლიოს სატელეკომუნიკაციო სივრცეს აკონტროლებს. ამერიკის სპეცსამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ ორივე პიროვნებამ, საქართველოშიც და ავღანეთშიც, წინასწარ იცოდნენ 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ. **"კიდევ ერთ მიზანზე საუბარი შეეხებოდა მეოთხე "ბოინგს", რომელიც თეთრი სახლისკენ მიფრინავდა და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა პენსილვანიის შტატის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს,"** – აღნიშნავენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

ავღანეთიდან საქართველოში ტელეფონით დარეკვა, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროში გვაცნობეს, პრობლემას არ წარმოადგენს. **"ავღანეთიდან საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე შეიძლება დარეკო, როგორც ჩვეულებრივ ტელეფონზე, ისე მობილურზეც და სატელიტურ ტელეფონზე,"** – გვითხრა კავშირგაბმულობის სამინისტროს მაღალჩინოსანმა.

ჯერჯერობით ამერიკის სპეცსამსახურებს საქართველოს უშიშროების სამინიტროსთვის არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ, კერძოდ, რა სახის ტელეფონით და რა ენაზე შედგა ეს საუბარი, რა ნომერზე დარეკეს ავღანეთიდან და საქართველოს რომელ რაიონში იმყოფებოდა მოპასუხე.

იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთიდან ჩვეულებრივ ტელეფონზე დარეკეს, მაშინ რესპოდენტი აუცილებლად დასახლებულ პუნქტში უნდა ყოფილიყო, სადაც ჩვეულებრივი ტელეფონის ქსელი არსებობს. ეს სავსებით შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ თვითმხილველთა ერთი წლის წინანდელ განცხადებებს, რომ მათ არაბები უნახავთ, როგორც ახმეტაში, ისე თელავში და გურჯაანშიც. არ არის გამორიცხული, რომ ტერორისტებს გარკვეული დროის მანძილზე თბილისშიც ეცხოვრათ, სანამ პანკისის ხეობისკენ გადაადგილდებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას მობილურ ტელეფონებზეც. ყველაზე დიდი ქართული ოპერატორები - "მაგთი" და "ჯეოსელი" კახეთის რეგიონის გარკვეულ ტერიტორიას ფარავენ, მაგრამ არც ერთის სიგნალი არ ვრცელდება ისეთ ადგილებში, როგორიც არის ომალო ან შატილი. უშიშროების სამინისტრო ყველაზე უფრო სატელიტური ტელეფონის ვარიანტისკენ იხრება. **"პანკისის ხეობაში მოკლათებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებები სწორედ ამ სახის სატელეფონო კავშირით სარგებლობდნენ. ყველაზე გავრცელებულია "ირიდიუმის" სისტემის სატელიტური ტელეფონები, რომელიც საქართველოში ოფიციალურად მხოლოდ ერთ მოქალაქეს აქვს,"** – გვითხრეს უშიშროების სამინისტროში.



ნიკოლოზ ლალიაშვილი ბრიფინგზე.

კომპანია "ირიდიუმი" 1991 წელს შეიქმნა. თავიდან ის პენტაგონს ემსახურებოდა, შემდეგ კი კორპორაცია "ბოინგის" მფლობელობაში გადავიდა. კომპანია 66 დაბალორბიტალური თანამგზავრის მეშვეობით ახორციელებს კავშირს და მთელ დედამიწას ფარავს. სისტემა არ მუშაობს მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში, შრი-ლანკაში, უნგრეთსა და პოლონეთში.

უშიშროების სამინისტროში ჯერჯერობით ვერ აკეთებენ კომენტარს, ამერიკელებმა ერთი წლის მანძილზე ქართველი კოლეგები საქმის კურსში რატომ არ ჩააყენეს, მით უმეტეს, რომ, როგორც უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა გვითხრა, **"ასეთი ზარების გაკონტროლება პრობლემას არ წარმოადგენს და ამ ტელეფონის ნომრისა და მისი მფლობელის ვინაობის დადგენაც ძნელი არ იქნებოდა"**.

გამორიცხული არ არის, რომ თავად ამერიკელებს უკვე დადგენილი ჰქონდეთ, როგორც ტელეფონის სახეობა, ისე მფლობელის ვინაობაც, თუმცა, ამ ხნის მანძილზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ფაქტის გახმაურებისგან თავი შეიკავეს. ამერიკელი ანალიტიკოსები დღეს ამ ფაქტის აფიშირებას ბუშის ადმინისტრაციის მიერ საქართველოსთვის მორიგი სამხედრო-ეკონომიკური დახმარების გასამართლებელ ნაბიჯად აფასებენ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი საქართველო თავისი ძალებით ცდილობს "პანკისის ხეობაში ტერორისტების ალაგმვას".

ეკონომიკა

# ქონების მართვის სამინისტრო თვითლიკვიდაციას აჭიანურებს

პირველი გვერდიდან

ანტიკორუფციული ბიურო ჰოლდინგის შექმნის რეკომენდაციის ამოსავალ პრინციპად ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების აუცილებლობას ასახელებს. ბიუროს აზრით, აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სახელმწიფო ქონებისა და წილების მართვის ფუნქცია, რაც ამჟამად ამ სამინისტროს აკისრია და რასაც იგი, არა მხოლოდ ბიუროს შეფასებით, არც თუ წარმატებით ასრულებს. ანტიკორუფციული ბიუროს იურისტის - კობა ჩეკურიშვილის განცხადებით, აუცილებელია, რომ წილების მართვა განახორციელოს ჰოლდინგმა (სახელმწიფო სააქციო საზოგადოება), რომლის 100-პროცენტიანი დამფუძნებელი სახელმწიფო იქნება, ხოლო მის საწესდებო კაპიტალში შევა სახელმწიფოს კუთვნილი წილები და აქციები. ჰოლდინგს ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც, ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტი დაამტკიცებს და დირექტორი (დირექტორთა საბჭო), რომელსაც, სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით, პრეზიდენტი დანიშნავს. სახელმწიფო ქონების მართვის ფუნქცია კი ანტიკორუფციულ ბიუროს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივად მიაჩნია.

ქონების მართვის სამინისტრომ ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციის შესრულებაზე ზრუნვა დიდი დაგვიანებით, ივლისში დაიწყო. ბიუროში წარმოდგენილი ინფორმაციით, მანამდე სამინისტრომ პრეზიდენტს წერილიც კი გაუგზავნა იმის დადასტურების მოთხოვნით, რომ ეს რეკომენდაცია მართლაც შესასრულებელი იყო. მას შემდეგ ქონების მართვის სამინისტრომ ანტიკორუფციულ ბიუროს სამი პროექტი წარუდგინა: 12 ივლისს და 23 ივლისს - კანონპროექტები, ხოლო 20 აგვისტოს - პრეზიდენტის განკარგულების პროექტი. თუმცა, ბიურომ სამივე მათგანი დაიწუნა პრინციპული უთანხმოების გამო. უკანასკნელი, 20 აგვისტოს პროექტის თანახმად, პავლიაშვილის უწყება სამი დარგობრივი პრინციპით დაფუძნებული ჰოლდინგის შექმნას აპირებს, რომლებშიც 206 საწარმო (59 სააქციო საზოგადოება და 147 შპს) გაერთიანდება. პირველში, რომელსაც "ტრანსენერგოინვესტი" ერქმევა, იმ საწარმოთა სახელმწიფოს კუთვნილი აქციები და წილები ჩაიდება, რომლებიც სახელმწიფოს განსაკუთრებული მმართველობის სფეროში შედის. ამ ჰოლდინგში, უმთავრესად, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები მოხვდება.

მეორე ჰოლდინგი "მედინვესტი", დარგის სპეციფიკურობის გამო, მთლიანად სამედიცინო სფეროს საწარმოებს მოიცავს. მესამე ჰოლდინგში კი, რომელსაც "მრეწვმშენინვესტი" უნდა ეწოდოს, ყველა დანარჩენი დარგის საწარმო გაერთიანდება.

ჩეკურიშვილის განცხადებით, სამინისტროს პროექტებში დარღვეულია რეკომენდაციის ძირითადი პრინციპები. მათ შორის უმთავრესია ის, რომ, სამინისტროს პროექტის მიხედვით, ჰოლდინგების დამფუძნებელი თავად სამინისტრო იქნება. ამასთან, ჰოლდინგებს სახელმწიფო კუთვნილი წილებისა და აქციების მხოლოდ 51 პროცენტი გადაეცემა, დანარჩენი (49 პროცენტი) კვლავ ქონების მართვის სამინისტროს მფლობელობაში დარჩება. ანტიკორუფციული საბჭო არ იწონებს სამი ჰოლდინგის შექმნის იდეას და მიაჩნია, რომ სამინისტროს არგუმენტი იმის თაობაზე, თითქოს ერთ ჰოლდინგს ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება გაუჭირდება, არამართებულია. უფრო მეტიც, ჩეკურიშვილის თქმით, ეს არგუმენტი თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ქონების მართვის სამინისტროს, რომელიც ამჟამად ამავე ამოცანებზე მარტო მუშაობს, დაკისრებული ფუნქციების შესრულება უჭირს. ბიუროს იურისტი დარწმუნებულია, რომ ჰოლდინგის სტრუქტურაში დარგობრივი განყოფილებების გათვალისწინება ასეთი პრობლემების წარმოქმნას გამორიცხავს.

გარდა ამისა, სადაოა ქონების მართვის სამინისტროს მიერ ჰოლდინგებში გასაერთიანებელ საწარმოთა დასახელებული რაოდენობაც. სამინისტრო, გაკოტრებისა და ლიკვიდაციის გზაზე მდგარ საწარმოთა გარდა, ამ სიაში იმ საწარმოთა შეყვანასაც არ აპირებს, რომლებშიც სახელმწიფო საკონტროლო პაკეტს არ ფლობს. ბიუროს აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია და იგი მის გაზიარებასაც არ აპირებს.

ქონების მართვის სამინისტროს მიერ მისგან დამოუკიდებელი ჰოლდინგის შექმნის პროცესის გაჭიანურებას ანტიკორუფციულ ბიუროში ასე ხსნიან: სამინისტროში არც ერთი დონის მოხელე, უბრალოდ, არ არის დარწმუნებული, რომ მისი კვალიფიკაცია საკმარისი იქნება ახლადშექმნილ ჰოლდინგში თანამდებობის დასაკავებლად, ანუ მათ, უბრალოდ, სამუშაოს დაკარგვა ელით.

მნიშვნელოვანია, რომ მარტში, პრეზიდენტის განკარგულებით ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ქონების მართვის სამინისტრომ "სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების განვითარების სააგენტოს შექმნის შესახებ" პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი წარმოადგინა. ეს პროექტი სამინისტროებში დამუშავების შემდეგ ანტიკორუფციულმა საბჭომ 29 მარტს განიხილა და მოიწონა. ამის გამო ქონების მართვის სამინისტროში უკვირთ, თუ რატომ გაუჩნდა ანტიკორუფციულ ბიუროს მათდამი პრეტენზიები. როგორც ჩეკურიშვილი განმარტავს, ანტიკორუფციულმა საბჭომ სამინისტროს პროექტი და სააგენტოს შექმნის იდეა მხოლოდ როგორც ჰოლდინგზე გადასასვლელი შუალედური ნაბიჯი, ისე მოიწონა. ამ პროექტის განხორციელებამ კი ანტიკორუფციული გეგმის დამტკიცების შემდეგ აზრი დაკარგა.

გუშინ, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრთან სპეციალური მუშა-სხდომა გაიმართა, რომელსაც ანტიკორუფციული ბიუროს წარმომადგენლები არ დასწრებიან. დღეს კი ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენლებს მუშა-სხდომას თავად ანტიკორუფციულ ბიუროში ჩაუტარებენ. ამ სხდომაზე ანტიკორუფციული საბჭო უკანასკნელად შეეცდება, ქონების მართვის სამინისტროს ანტიკორუფციული გეგმის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესრულებისთვის აუცილებელი მიმართულებები დაუსახოს. არ გამორიცხავენ, რომ, უკანასკნელი "შეგონების" არშესმენის შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიურო პრეზიდენტს ქონების მართვის მინისტრის თაობაზე შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს.

## "მერიამ 80 ათასი დოლარის ქრთამი აიღო", - აცხადებენ მეოთხე ავტოპარკის მძღოლები



სოფო კვინტრაძე

23-ე და 24-ე სამარშრუტო ნომრების 42-მა მძღოლმა "საქსოფლმშენის" შენობასთან აქცია გამართა. მძღოლები გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ, რომლის მიხედვითაც მათ უფლება ეძლევათ, აღნიშნული ნომრებით სამარშრუტო რეისები განახორციელონ. ორი წლის წინ მათ მფლობელობაში არსებული "იკარუსისა" და "პაზის" ტიპის ავტობუსები ჩამოიწერა და მძღოლებს ახალი მანქანების ჩამოყვანას შეპირდნენ. თუმცა, სახელმწიფოს დაპირება არ შესრულებულა. უმუშევრად დარჩენილმა მძღოლებმა გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში საქმე აღძრეს მერიის სატრანსპორტო დეპარტამენტის წინააღმდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მძღოლებს უფლება მიეცათ, "იკარუსისა" და "პაზის" ტიპის ავტობუსები სხვა მარკის მიკროავტობუსებით ჩაენაცვლებინათ. თუმცა, 23-ე და 24-ე სამარშრუტო ნომრების მძღოლები დღემდე უმუშევრებად რჩებიან.

მძღოლები ამბობენ, რომ თბილისის მერია ლობირებას უწევს კერძო ფირმა "მიკროავტოს", რომელსაც გლდანიდან გამომავალი რვა სამარშრუტო ხაზი ეკუთვნის. მათი განცხადებით, "მიკროავტოს" მფლობელობაში მყოფ სამარშრუტო ხაზებზე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლებმა მერიაში 80 ათასი დოლარის ოდენობის ქრთამი მიიტანეს.

**"ჩვენ გვქონდა შეხვედრა ქალაქის მერთან - ვანო ზოდელავასთან, რომელმაც გვითხრა, თქვენ ქუჩასთან მოაგვარეთ საქმე და მერე, თუ გინდათ, ველოსიპედებით იარეთო,"** – აცხადებს მძღოლი ფირუზ ბაინდურაშვილი.

მძღოლების განმარტებით, "ქუჩაში" ქალაქის მერი ვინმე ნიკო ბეზარაშვილს, მეტსახელად "ოქროპირას" გულისხმობდა, რომელიც ზემოაღნიშნულ რვა სამარშრუტო ხაზს კურირებს.

მეოთხე ავტოპარკის მძღოლები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში მებრძოლთა ტრანსპორტირებას ახდენდნენ და თვეების განმავლობაში იმყოფებოდნენ ომში. მათი განცხადებით, სწორედ ამ პერიოდში გაყიდა მერიამ 23-ე და 24-ე სამარშრუტო ხაზები.

მძღოლები აქციების გაგრძელებას აპირებენ. მათ მთავარ მოთხოვნად კი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება რჩება.

# "ყაზბეგის" ცივი ჩაი ხილისგან მზადდება

სოფიკო ოხანაშვილი

სააქციო საზოგადოება "ყაზბეგის" ჩამომსხმელ ქარხანაში ცივი ჩაისათვის ტყის ჟოლოსაგან არომატიზატორის დამზადებას შეუდგნენ. ოთხი ტონა ხილი სააქციო საზოგადოებამ ახალქალაქელი გლეხებისაგან იყიდა. **"ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. რა სახეობის ხილიც შემოდის, ჩვენც იმას ვამუშავებთ. ახლა ჟოლოს პერიოდია. ამის მერე ციტრუსებს დაველოდებით. ჩვენ ყველაფერს ადგილობრივ ნედლეულზე ვაწარმოებთ",** - აღნიშნა სააქციო საზოგადოება "ყაზბეგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ კოსტავამ.

დღეს საქართველოს გამაგრილებელი სასმელების ბაზარზე "ყაზბეგის" ლოგოთი რვა სახეობის ცივი ჩაი და ხუთი სახეობის ლიმონათი გამოდის. "ყაზბეგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თქმით, კომპანიაში ცივი ჩაის პირველი პარტია 2000 წელს ჩამოასხეს. ახალმა და, რაც მთავარია, ადგილობრივი ბაზრისთვის მანამდე უჩვეულო პროდუქტმა ბაზრის საკმაოდ მნიშვნელოვანი სეგმენტი მალევე მოიპოვა. თუმცა, ცივი ჩაის გამოშვებას სხვა მიზეზიც აქვს. საქმე ისაა, რომ ზამთრის სეზონში ლუდზე მოთხოვნის კლების გამო მისი წარმოება 80 პროცენტით მცირდება. ორი წლის განმავლობაში ამ პროდუქციამ ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ მწარმოებლების იმედსაც გადააჭარბა და სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პროდუქტად იქცა.

ცივი ჩაის დასამზადებლად ქარხანაში ყოველწლიურად, საშუალოდ, 140 ტონა ხილს ამუშავებენ. ზურაბ კოსტავა კმაყოფილია მუშაობით და იმედოვნებს, რომ საწარმოში, შარშანდელთან შედარებით, წელს, მინიმუმ, ოცი პროცენტით მეტ ხილს გადაამუშავებენ. სააქციო საზოგადოება "ყაზბეგში" კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მათ ნებისმიერ ახალ წამოწყებას ქართველი მომხმარებელი ადვილად ითვისებს, უფრო მეტიც, ხშირად ბაზარზე გამოსული ახალი პროდუქტი პოპულარობით ძველ პროდუქციასაც სჯაბნის. ამის მაგალითია ცივი ჩაი ალუბლით, რომელიც "ყაზბეგის" ყველაზე ახალი გამაგრილებელი სასმელია.



„ყაზბეგის" ჩამომსხმელ ქარხანაში

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქარხანაში სიახლეებზე მომხმარებლის ასეთი რეაგირების მიზეზად სააქციო საზოგადოების სახელსა და ავტორიტეტს ასახელებენ. **მოსახლეობისთვის "ყაზბეგის" ლოგო იმის გარანტია, რომ პროდუქტი იქნება ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა. მოსახლეობას სჯერა, ენდობა "ყაზბეგის" ხარისხს. ჩვენც ვცდილობთ, არ გავაწბილოთ ეს ნდობა და მომხმარებლებს ნატურალური პროდუქტები მივაწოდოთ",** - განაცხადა ზურაბ კოსტავამ.

მიღწეული შედეგები ქარხნის ხელმძღვანელობას აძლევს იმის იმედს, რომ წლის ბოლოს "ყაზბეგის" ცივი ჩაი და ლიმონათი გამაგრილებელი სასმელების ბაზრის 20-25 პროცენტს დაიკავებს, თუმცა, ისეთ "გიგანტებთან შეჭიდებას", როგორებიცაა „კოკა-კოლა" და „პეპსი", არ აპირებს. **"ასი წელია, რაც ეს კომპანიები ბაზარზე არიან და მათთან შეჭიდებას, უბრალოდ, აზრი არა აქვს. თუმცა, მომავალში ვნახოთ",** - აღნიშნა ზურაბ კოსტავამ.

"ყაზბეგის" ცივმა ჩაიმ საქართველოს საზღვრებიც კი "გაარღვია". უკრაინაში ამჟამად მუშაობს ცივი ჩაის მწარმოებელი ერთობლივი საწარმო, რომელიც 2000 წელს შეიქმნა. წლის ბოლომდე ასეთივე საწარმოების გახსნა დაგეგმილია მოსკოვსა და ბაქოში.

"ყაზბეგის" ლიმონათზე ყველაზე დიდი მოთხოვნა აზერბაიჯანშია. ზურაბ კოსტავა ასევე აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში აქვთ "ყაზბეგის" პროდუქციის ნიმუშები გაგზავნილი და, სურვილის შემთხვევაში, მზად არიან სათანამშრომლოდ. ამის მაგალითად კოსტავა ავსტრიას ასახელებს, სადაც ერთი კვირის წინ ტარხუნისა და ფეიხოას ცივი ჩაის საცდელი პარტია, დაახლოებით, ხუთი ათასი ბოთლი, ჩამოასხეს. ერთი კვირის მანძილზე ორი ათასი ბოთლი უკვე გაიყიდა, რაც "ყაზბეგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს წარმატების იმედს აძლევს.

მოსკოვში ყოველწლიურად ტარდება კონკურსი "მოსკოვის საერთაშორისო დეგუსტაცია". 2000 წელს ამ კონკურსში "ყაზბეგის" სამი სახეობის ცივმა ჩაიმ (ლიმონმა, ფორთოხალმა და ატამმა) ოქროს მედალი მიიღო, 2001 წელს იმავე კონკურსში ცივი ჩაის სხვა სამმა სახეობამ კვლავ ოქროს მედლები დაიმსახურა (ტარხუნა, ფეიხოა და ჟოლო). 2000 წელს "მოსკოვის საერთაშორისო დეგუსტაციაზე" "ყაზბეგი," პროდუქციის ხარისხისთვის, გრან-პრის მფლობელი გახდა. 2000 წელს ბრიუსელსა და პარიზში გამართულ გამოფენაზე კომპანია განსაკუთრებული პრიზით დაჯილდოვდა - "განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიზნესისა და მარკეტინგის სფეროში". "ყაზბეგის" პროდუქციამ 2001 წელს ტოკიოში გამართულ გამოფენაზეც დიდი მოწონება დაიმსახურა.

2002 წლის ნოემბერში მოსკოვში კვლავ გაიმართება კონკურსი "მოსკოვის საერთაშორისო დეგუსტაცია", რომელზეც სააქციო საზოგადოება "ყაზბეგი" ლიმონათის ორ სახეობასა და ალუბლის არომატიზატორით დამზადებულ ცივ ჩაის წარადგენს.

წლის ბოლომდე "ყაზბეგი" მომხმარებელს ყურძნის არომატიზატორით დამზადებულ ცივ ჩაისა და ლიმონათს შესთავაზებს. **"პირველ რიგში ჩვენ ვაპირებთ ცივი ჩაისა და ლიმონათის ასორტიმენტის გაფართოებას",** - დასძინა ზურაბ კოსტავამ.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# თბილისის "ვერშემდგარი" საკრებულო ზოდელავას გადაყენებით ემუქრება

თამარ ხორბალაძე

*ლეიბორისტთა ლიდერი ახალ "პოლიტიკურ სასწავლო წელს" თბილისის მერის ვანო ზოდელავას წინააღმდეგ გამოსვლით იწყებს:*

***"შევარდნაძის სისტემის მთავარი მეთვალყურე თბილისში გახლავთ ვანო ზოდელავა.***

***ის არის ქალაქში არსებული მაფიის ხელმძღვანელიც. ქალაქის ყველა უბედურება მის სახელთან არის დაკავშირებული.***

***ზოდელავას იმპიჩმენტის პროცესის მომზადებით, თბილისის შევარდნაძის კლანისაგან გაწმენდასა და შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟს ვიწყებთ"...*** *- განაცხადა გუშინ შალვა ნათელაშვილმა და ახალი, ჯერჯერობით "ვერშემდგარი", საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა. თან საგანგებოდ აღნიშნა:* ***"ის, ვინც ჩვენს ინიციატივას არ გამოეხმაურება, დაადასტურებს, რომ მხოლოდ სიტყვით იბრძვის შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ".***

ნათელაშვილი თბილისის მერისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნას ქალაქის ბიუჯეტზე, უკანონო მშენებლობებზე, მერის მილიონერობაზე და ჯერ კიდევ ნიკო ლეკიშვილისა და ბადრი შოშიტაიშვილის მერობის დროს გაცემულ კრედიტებზე საუბრით ამყარებს.

ნათელაშვილს უკვე მომზადებული აქვს მოთხოვნა მერის იმპიჩმენტის და ქალაქის მთავრობის გადაყენების შესახებ, რომელსაც 13 "საკრებულოელი" ლეიბორისტი აწერს ხელს და რომელსაც, საიმპიჩმენტო პროცედურის დასაწყებად, 4 ხელმოწერა აკლია.

თავად იმპიჩმენტის პროცედურის განსახორციელებლად კი საკრებულოს ორი მესამედის თანხმობა, ანუ 33 ხმაა საჭირო.

ლეიბორისტთა ლიდერს თბილისის მერის გადასაყენებლად კიდევ ერთი პატარა დეტალი უშლის ხელს: საკრებულო, რომლის წევრებიც ამ საიმპიჩმენტო ინიციატივას ხელს აწერენ, ჯერ "უფლებაცნობილი" არ არის და ცნობენ თუ არა მის უფლებას ბიულეტენთა გადათვლის შემდეგ, ძნელი სათქმელია.

ამიტომ ამ ინიციატივასა და მის მხარდაჭერას დღეს უფრო სიმბოლური ხასიათი აქვს, ვიდრე პრაქტიკული.

ამას გაუსვა ხაზი "24 საათთან" საუბარში ზოდელავას გადადგომის თავდაპირველი ინიციატორის - "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემაც. მან დაადასტურა, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ "მემარჯვენეების" მსგავს მოთხოვნას, პრაქტიკულად, თითქმის არც ერთი პოლიტიკური ძალა არ გამოეხმაურა:

**"ეს ის საკითხია, რომელიც ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ ნებისმიერ დროს შეიძლება წამოწიოს. მაშინ ჩვენს ინიციატივას სხვა პოლიტიკური ძალებისგან მაინცდამაინც დიდი მხარდაჭერა არ მოჰყოლია.**

**ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია მზად არის, ნებისმიერ კრიტიკულ წამოწყებას დაუჭიროს მხარი, იმიტომ, რომ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა.**

**მაგრამ მე მეშინია ერთის - ძალიან აგრესიული წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ, ლოზუნგი - "თბილისი შევარდნაძის გარეშე" რეალურად გადაიზარდა "თბილისად საკრებულოს გარეშე." ახლა ლოზუნგი "თბილისი ზოდელავას გარეშე", შეიძლება, ანალოგიურად შემოგვიბრუნდეს.**

**მე ვფიქრობ, პოლიტიკურმა ძალებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა საკრებულო ავამოქმედოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ჰაერში მუშტის ქნევა გამოგვივა".**

ასეთ ფონზე, ერთი შეხედვით, მართლაც ნაადრევად გამოიყურება შალვა ნათელაშვილის ინიციატივა. თუმცა, ლეიბორისტთა ლიდერის განცხადება იმის თაობაზე, რომ **"ვინც ინიციატივას არ აიტაცებს, შევარდნაძის კლანის მხარდამჭერია"**, მის მიერ სააკაშვილის საგაზეთო ინტერვიუს გახსენებაც, სადაც "ნაციონალთა" ლიდერი ზოდელავას მხარდაჭერას აფიქსირებს, ნათელს ხდის, რომ "მთავარი ლეიბორისტის" გამოწვევა სააკაშვილის მისამართითაც არის "ნასროლი".

ამ გამოწვევას "ნაციონალთა" სიით ახალ საკრებულოში "წარმოდგენილი" დავით ბერძენიშვილი "24 საათთან" საუბრისას მშვიდ კომენტარს ახვედრებს:

**"იმედი მაქვს, რომ ბატონი შალვა და მისი ფრაქცია საკრებულოში თანმიმდევრულნი იქნებიან და, ზოდელავასთან ერთად, თბილისის მთლიანი მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამენ, ვიცე-პრემიერ მუხრან მდივნის ჩათვლით, რომელიც ლეიბორისტი გახლავთ. ჩვენ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას მთლიანად ძალიან მკაცრ შეფასებას ვუპირებთ. თუ ლეიბორისტები ასე ფართოდ ხედავენ შევარდნაძის სისტემის დემონტაჟს თბილისში, ჩვენ მათთან პრობლემა არ გვექნება.**

**ისე, ერთიც მინდა ვთქვა - ზოდელავას მიმართ შევარდნაძის დამოკიდებულება აღარ უნდა იყოს მაინცდამაინც თბილი მას შემდეგ, რაც თბილისში, თვითმმართველობის არჩევნებში, ოპოზიციის გამარჯვების დაბლოკვა ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, ნათელაშვილი ხედავს, რომ შევარდნაძე არ იქნება წინააღმდეგი თანამდებობიდან ზოდელავას გათავისუფლებისა და უნდა, ამ მოსალოდნელ მცდელობას პოლიტიკური ინიციატივა შეაგებოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მკვეთრნი ვიქნებით როგორც ზოდელავას, ისე მთლიანი მთავრობის მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ ნათელაშვილი სწორად შეაფასებს იმ სამუშაოსაც, რაც ლეიბორისტმა ვიცე-პრემიერმა სამი წლის განმავლობაში გასწია. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ თანამშრომლობას მოვახერხებთ".**

"ლეიბორისტები", "ნაციონალები" და "ახლები" საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ახალ საკრებულოში საიმისოდ, რომ, ერთიანი პოზიციის შემთხვევაში, პრობლემები თბილისის მერსა და მთლიანად თბილისის მთავრობას მართლაც შეუქმნან. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ახალი საკრებულოს ამოქმედების პერსპექტივა იმდენად ბუნდოვანია, რომ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას ასეთი მუქარის გამო ძილი კიდევ კარგა ხანს არ დაუფრთხება.



*ნათელაშვილი ზოდელავას წინააღმდეგ.* იური ლობოდინის ფოტო

სამართალი

## პეტრე გელბახიანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

თამარ კაციტაძე

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ პატიმარ პეტრე გელბახიანს თავისუფლება დაუბრუნა. სასამართლოს დარბაზიდან იგი საკუთარმა შვილებმა - 13 წლის დავითმა და 18 წლის გედიამ გამოიყვანეს. ათი წლის წინ, მამის დაპატიმრების დღეს, დავითი - სამის, ხოლო გედია რვა წლის იყო.

1993 წლის აპრილში პეტრე გელბახიანი, სხვა ბრალდებებთან ერთად, ჩიქოვანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანის ლიკვიდაციის მიზნით დაგეგმილი ტერორისტული აქტის ორგანიზებისთვის დააპატიმრეს და მას უზენაესმა სასამართლომ საკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. მოგვიანებით, საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით, დახვრეტა 20-წლიანი პატიმრობით შეეცვალა, უფრო გვიან კი, კვლავ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელი 12 წლამდე და ექვს თვემდე შეუმცირეს.

ათწლიანი პატიმრობის შემდეგ გელბახიანს კანონით განსაზღვრული პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება შეეხო. ხუთი დღის წინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მის გათავისუფლებაზე უნდა ემსჯელა, მაგრამ პროცესი გადაიდო. მაშინ გელბახიანი შედარებით უიმედოდ გამოიყურებოდა და ვარაუდობდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ გაათავისუფლებდნენ და პრეზიდენტის შეწყალებამდე პატიმრობაში ყოფნა მოუწევდა. მაგრამ აღნიშნული ტერორისტული აქტისთვის გასამართლებული ირაკლი დოკვაძის გათავისუფლებამ, ფაქტობრივად, ნათელი მოჰფინა გალბახიანის ბედსაც.

თუმცა, დოკვაძის პროცესისაგან განსხვავებით, გელბახიანის სასამართლო სხდომა შედარებით ხმაურიანად დაიწყო. გუშინ სასამართლოში ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულები მოვიდნენ და გელბახიანის პატიმრობაში დარჩენა მოითხოვეს. ცნობისათვის, მაშინ აფეთქებამ 5 ადამიანის, მათ შორის, 5 წლის ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, ასევე 74 ოჯახი უსახლკაროდ დატოვა (ისინი დღესაც სასტუმრო "აჭარაში" ცხოვრობენ). დაზარალებულებსა და გელბახიანის გულშემატკივრებს შორის კამათი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს პატიმრის გულშემატკივართა სიმრავლით შევიწროვებული დაზარალებულები იძულებულნი გახდნენ, სასამართლოს ტერიტორია დაეტოვებინათ.



*პეტრე გელბახიანი* იური ლობოდინის ფოტო

ერთსაათიანი თათბირის შემდეგ სასამართლო დარბაზში მყოფ ორასამდე გულშემატკივარს მოსამართლემ მოახსენა: **"დავადგინე, რომ სასჯელის ზემოქმედების შედეგად გალბახიანი ნამდვილად გამოსწორებულია და თანახმა ვარ, იგი პატიმრობიდან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდეს".**

ექსპრეზიდენტის უკვე თავისუფალმა მომხრემ სასამართლოს გადაწყვეტილება ხელისუფლების პოლიტიკურ ნებად შეაფასა. რაც შეეხება მომხდარი აფეთქებით დაზარალებულებს, ათწლიანი პატიმრობის მიუხედავად, გელბახიანი ამტკიცებს, რომ მათი უბედურების მიზეზი ის არ არის და პროცესზე დამსწრე ჟურნალისტებს დაგვპირდა, მომავალში ყველაფერს გავაკეთებ, რათა საკუთარი სიმართლე დავამტკიცოო.

## რუსი სამხედროები ქართული გამოძიების მასალებს შეისწავლიან

პირველი გვერდიდან

**დატოვეს ხეობა, ტერორისტებს გადაადგილებაში საქართველოს სპეცსამსახურები დაეხმარნენ. პანკისში მიმდინარე ოპერაციის შედეგი ნოლია,"** - ასეთია რუსეთის გენშტაბის გენერლის შეფასება.

რუსი სამხედროები 23 აგვისტოს დაბომბვის თაობაზე ასეთ სცენარს ხატავენ: ქართველი პილოტები, რომლებიც ისრაელ-საქართველოს ერთობლივი ნაწარმის – "სუ-25"-ის გამოცდას ატარებდნენ, მართვის სისტემის ამუშავებისას შეცდნენ, რასაც გაუთვალისწინებელი დაბომბვა მოჰყვა. გაერო-ს დამკვირვებლების მიერ დანახული "სუ-25", თურმე, სწორედ ხსენებული თვითმფრინავი გახლდათ და არა - რუსული წარმოშობისა.

ერთი სიტყვით, რუსეთი კატეგორიულად უარყოფს საქართველოს დაბომბვის ფაქტს, ქართველი კანონდამცველები კი, პირიქით – ადასტურებენ.

რუსი სამხედროების ვიზიტი და ქართულ გამოძიებასთან მათი თანამშრომლობის კონკრეტული დეტალები რატომღაც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი მალხაზ სალაყაია, მართალია, რუსი სამხედროების ჩამოსვლის თაობაზე ინფორმაციას ფლობდა, მაგრამ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ფორმით მოხდება რუს გენერალთა თანამშრომლობა მისი უწყების მიერ წარმოებულ გამოძიებასთან. **"ვიცი მხოლოდ ის, რომ რუსი სამხედროები ჩამოდიან, კონკრეტულად - ვინ, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მოგვიანებით ჩვენი შეხვედრა, ალბათ, შედგება, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მალხაზ სალაყაიამ.

პანკისის ხეობის დაბომბვის ფაქტზე აღძრულ საქმეს ჯერჯერობით ახალი დეტალები არ შემატებია, გარდა იმისა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის სპეციალისტთა მიერ ხეობის მიმდებარე ტერიტორიებიდან ამოღებული 500-კილოგრამიანი ბომბის ნამსხვრევები ექსპერტიზაზე გაიგზავნა და დასკვნა გამოძიებას რამდენიმე დღეში ჩაბარდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბომბის ნამსხვრევებზე არსებული ნაკვალევი ექსპერტებს იმის ვარაუდის საშუალებას აძლევს, რომ დაბომბვისას გამოყენებული იყო "რ-73" ტიპის ჭურვები.

რუსი სამხედროები თბილისში ჩამოსვლისთანავე პანკისის ხეობაში გაემგზავრებიან, დაბომბილი ტერიტორიების გასაცნობად.

# „არის ასეთი პარტია!" - თბილისელ „მოქალაქეთა" შესრულებით

პირველი გვერდიდან

**"ხელისუფლებაში საქმით და არა მხოლოდ სიტყვით"; "სახელმწიფო პოპულიზმისა და რადიკალიზმის გარეშე"...**

რიგით დელეგატებთან ერთად, ფორუმში მონაწილეობდნენ ყოფილი საპარლამენტო უმრავლესობის საკმაოდ სოლიდური ნაწილი, მინისტრები და ჩინოვნიკური ელიტის წარმომადგენლები, ანუ ის ხალხი, რომლებიც დღემდე ქვეყნის მმართველ ელიტას წარმოადგენენ. ამის მიუხედავად, გუშინ არ ყოფილა არც ერთი მეტ-ნაკლებად თვითკრიტიკული გამოსვლა. პირიქით – შეკრება ზუსტად განასახიერებდა საუკეთესო კომუნისტური ტრადიციებით გამჯდარ სხდომებს და კონფერენციებს.

ამ ფონის გათვალისწინებით, სრულიადაც არ იყო გასაკვირი, როცა ფორუმის მონაწილეებმა საქართველოს უბედურების სათავედ და ქვეყნის დამქცევებად "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი ხელმძღვანელობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია დაასახელეს. თბილისელ "მოქალაქეთა" ლოგიკა მარტივია: მაშინ, როცა ჟვანია-სააკაშვილის გუნდი პარტიის უზურპაციისა და ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის იბრძოდა, მათ მიერ მართული მედიის ნაწილი მოსახლეობაში განუკითხაობისა და შიშის სინდრომს აღვივებდა. პრეზიდენტის კურსის მხარდამჭერები კი იმ დროს შევიწროებულები იყვნენ და უზურპატორებს წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

ფორუმზე გამოსული 18 მომხსენებელი თანამიმდევრულად ანვითარებდა ამ მოსაზრებას. განსაკუთრებით რეზო ამაშუკელმა და მამუკა არეშიძემ იაქტიურეს. ამ უკანასკნელმა, როგორც "ჟურნალისტური სამზარეულოს ზედმიწევნით კარგად მცოდნემ", დამსწრე საზოგადოებას მედიის საშუალებათა მოსყიდვის მექანიზმები აუწერა და განაცხადა, რომ მისი ნაწილი პირდაპირ იმართება ქვეყნის გარედან. მისი თქმით, სწორედ ამის წყალობით ხორციელდება ქვეყანაში ანტისახელმწიფოებრივი ღონისძიებები და მოსყიდული ჟურნალისტები პიარ-ტექნოლოგიებს საქართველოს წინააღმდეგ იყენებენ. **"მიმდინარეობს პრესის ბაზრის გადანაწილება და ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებენ გარე ძალები",** - ამცნო თანაპარტიელებს ყოფილმა ჟურნალისტმა.

დამოუკიდებელი მედიის მიმართ ტრადიციულად აგრესიულმა რეზო ამაშუკელმა კი ჟურნალისტებზე მეტად მინისტრები დატუქსა. მისთვის აბსოლუტურად გაუგებარი აღმოჩნდა, დაძახებისთანავე რატომ „მირბიან" ტელევიზიაში ჩინოვნიკები, სადაც მათ **"დაკითხვას უწყობენ". "აბა, მე დამიძახონ, რასაც მიიღებენ, დაინახავენ",** – დაემუქრა პოეტი მედიას და იქვე საჯაროდ განაცხადა, რომ **"დემოკრატიას საქართველოს არ გადააყოლებდა".**

გუშინვე გაისმა მოსაზრებები პრესის რეფორმირების აუცილებლობაზე, გრანტების ხარჯვის შესამოწმებლად შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების ამუშავებაზე, პრეზიდენტის მხარდამჭერთა რიგების გაძლიერებასა და გამთლიანებაზე. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლამ კი დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა საკუთარი პოზიციის სისწორეში, რადგან თავად ედუარდ შევარდნაძემ დაადასტურა მათი ვარაუდი მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა არ გამორიცხა ხელისუფლების სათავეში ფაშისტური ძალების მოსვლის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ ამის მცდელობა პარტიამ სხვა ორგანიზაციებთან ერთად უნდა აღკვეთოს. **"არიან ადამიანები, რომლებიც ქვეყანას მოუწოდებენ, რომ უკან გადაიდგას ნაბიჯები და ერთპიროვნული მმართველობა იყოს შემოღებული... თუ ყურადღებით დავუკვირდებით, რა ხდება ქვეყანაში, ვინ რას საუბრობს და რა მოქმედებისკენ მოუწოდებს საზოგადოების გარკვეულ წრეებს, არსებობს საფუძველი გარკვეული შეშფოთებისა",** - განაცხადა პრეზიდენტმა და მოსალოდნელი საფრთხის რეალურობის საილუსტრაციოდ საფრანგეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები მოიყვანა, სადაც პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მეტოქედ ულტრანაციონალისტი ლე პენი გამოვიდა, რომლის იდეოლოგიაც **"წმინდა ფაშისტური იყო და საფრანგეთის დემოკრატიის ბედი ბეწვზე ეკიდა".**

თუმცა, **"ქვეყნის სტაბილურობას ასე იოლად ვერავინ შეარყევს. ჩვენ გვაქვს პოლიტიკური გარანტია, რომელიც შეუქცევადს გახდის სტაბილურობის პროცესს",** - განაცხადა "სმკ"-ს საპატიო თავმჯდომარემ და იქვე დასძინა: **"ვიდრე მე ვარ, საქართველოს ვერ დააჩოქებენ."**

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ დელეგატებმა სავალდებულო პროცედურები შეასრულეს – აირჩიეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. რაც შეეხება მის თავმჯდომარეს, ეს პოსტი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ზეზვა ღუღუნიშვილმა დაიკავა.

## „თელასი" დააყაჩაღეს

თამარ კაციტაძე

გუშინ, დაახლოებით ხუთ საათზე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ორმა პიროვნებამ "ე-ი-ეს თელასის" ჩუღურეთის განყოფილების სალარო დააყაჩაღა და 9 500 ლარი გაიტაცა.

სამუშაო საათების მიუხედავად, დამყაჩაღებლებისთვის ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი არავის შეუშლია. დანაშაული კი ასე მოხდა: მართალია, "თელასის" ფილიალს დღის დაცვა არ ჰყავდა, მაგრამ მოლარეს ოთახი შიგნიდან საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი. ამიტომ ერთ-ერთმა დამნაშავემ სალაროს სარკმლიდან მოლარეს იარაღი დაუმიზნა და კარების გაღება უბრძანა. შეშინებული მოლარე უცნობის ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილა. იარაღმომარჯვებული პიროვნება და მისი მეგობარი, რომელიც კარებთან იდგა და აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული, ოთახში შევიდნენ. ყაჩაღებმა სალაროდან ფული ამოიღეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიქცნენ. შეშინებულმა მოლარემ ყვირილი მას შემდეგ დაიწყო, რაც დამნაშავეები თვალს მიეფარნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორმა ირაკლი წერეთელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გამოძიებას დამნაშავეთა შესახებ გარკვეული ინფორმაცია გააჩნია, მაგრამ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გადამოწმება. პროკურორის თქმით, შედგენილია ერთი პიროვნების ფოტო-რობოტი, მეორე დამნაშავის გარეგნობის გახსენება კი სტრესგადატანილმა მოლარემ ჯერჯერობით ვერ შეძლო. ასევე დაუდგენელია იარაღის სახეობაც. თუმცა, ირაკლი წერეთელი მაინც დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში დანაშაული გაიხსნება. დამყაჩაღებლების პოვნის იმედს სამართალდამცველებს ის თითის ანაბეჭდებიც აძლევთ, რომელიც მოლარის ოთახიდან ამოიღეს.

# პარლამენტში დაღვრილი ენერგეტიკული ვნებები

გიორგი ასანიშვილი

ვაკის გონივრულ განვითარებაზე მზრუნველ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელი ქალბატონები სათბობენერგეტიკის მინისტრის ცხოვრებისა და საქმიანობის თანამგზავრებად იქცნენ. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს დავით მირცხულავა - სამინისტროში, მერიაში თუ პარლამენტში - ისინი მას ყველგან თან ახლავან და ოპონირებას უწევენ. თუმცა, მათ შორის კამათში დღემდე ვერ იშვა ჭეშმარიტება - ვერაფრით დადგინდა იმ კონკრეტული დამნაშავის (თუ დამნაშავეების) ვინაობა, ვინც საქართველოს ენერგეტიკა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ჭეშმარიტებაში წვდომის მორიგი მცდელობა გუშინაც უშედეგოდ დასრულდა. პარლამენტის კინოდარბაზში შეკრებილმა დეპუტატებმა, არასამთავრობო სექტორის წევრებმა და ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებმა, დავით მირცხულავასთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში ნაყეს წყალი და მრავალგზის დეკლარირებული არგუმენტები კიდევ ერთხელ ააფრიალეს: "ენჯეოები" და ენერგეტიკოსები სათბობენერგეტიკის სამინისტროსა და მთლიანად ქვეყნის ხელმძღვანელობას ლანძღავდნენ, მინისტრი კი, ჩვეულებისამებრ, ციფრების, სტატისტიკისა და ქაღალდების მორევში ითრევდა ოპონენტებს და ამ გზით ცდილობდა მათი შემოტევის განეიტრალებას.

ტრადიციული სურათის მიუხედავად, გუშინდელ შეხვედრაზე, რომელიც ფრაქცია "XXI საუკუნის" ინიციატივით მოეწყო, ერთი სიახლე მაინც წარმოჩინდა: მოულოდნელად არასამთავრობოებმა თავდასხმის ობიექტი შეცვალეს და იერიში დავით მირცხულავაზე კი არა, მასპინძელ პარლამენტარებზე მიიტანეს.

**"ვერავინ აიცილებთ თავიდან პასუხისმგებლობას. ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთზე ჩასაფრებულები რომ არ იყოთ, ქვეყანაში ასეთი სავალალო მდგომარეობა არ იქნებოდა",** - ხალხის ოპოზიციონერ რჩეულებს "დასცხო" ნანული ქაჩიბაიამ, რომელმაც დეპუტატებს კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები შეახსენა და მუქარაც შეუთვალა: **"ყველა სახლში მივალთ და მოსახლეობას უვარგის პარლამენტარებს აღარ ავარჩევინებთ".**

"XXI საუკუნელებისთვის" მოვლენების ასეთი განვითარება მოულოდნელი აღმოჩნდა და თავდაპირველად საკმაოდ დააბნია. თუმცა, ცივმა შხაპმა თავისი ქნა და "ვერაგული თავდასხმა" უპასუხოდ არ დარჩენილა. ანზორ აბრალავას თქმით, **"ის არასამთავრობო სექტორი, რომელიც გრანტებით იკვებება, სინამდვილეში სამთავრობო სექტორს წარმოადგენს",** ხოლო თავად ნანული ქაჩიბაია, პარლამენტარის განცხადებით, იმ "რკონის მოძრაობას" განასახიერებს, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაამხო.

პარლამენტარები განსაკუთრებით გააღიზიანა არასამთავრობოთა იმ მოწოდებებმა, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს რიგების დატოვებას შეეხებოდა.

**"ხელისუფლებაში რითიც მოვედით, ახლაც ის ქონება გვაქვს. არადა, დილის 10-დან ღამის 12 საათამდე მონებივით ვმუშაობთ. ჩვენ რომ წავიდეთ, ვის დავუტოვოთ ქვეყანა - კობა დავითაშვილსა და ვიტალი ხაზარაძეს?"** - კაკო ყაჩაღის მოტივებზე ("მერე, მე ცხვარი ვის ჩავაბარო?") ამეტყველდა ელდარ ნადირაძე. მისი აზრით, პარლამენტიდან მათი წასვლა სულაც არ არის საუკეთესო გამოსავალი და საზოგადოებას ასეთ ვარიანტს სთავაზობს: **"რუსთაველზე მოვგროვდეთ 100 ათასი კაცი, მოვიშოროთ ეს სისხლისმსმელები და ეშველება საქართველოს".**

რაც შეეხება გუშინდელი შეკრების მიზეზს - თავყრილობას საფუძველი დაუდო რამდენიმე დღის წინ ჯემალ გამახარიას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომლის თანახმადაც, 1991 - 1999 წლებში რუსეთისგან შესყიდული და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ მოხმარებული 46,8 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგია სახელმწიფო ვალად იქნა აღიარებული და მისი დაფარვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისების გზით მოხდება.



*XXI საუკუნის პრესკონფერენცია.* ბესო გულაშვილის ფოტო

დავით მირცხულავა არ უარყოფს, რომ აღნიშნულ წლებში ამ ოდენობის ვალი მართლაც დაგროვდა და 1999 წელს "საქენერგოს" ხელმძღვანელობამ რუსეთის მხარესთან სათანადო ოქმს მოაწერა კიდეც ხელი, ოღონდ ეს არ არის სახელმწიფო ვალი.

**"სახელმწიფო ვალის აღიარებას რიგი საპარლამენტო პროცედურები სჭირდება, ასეთი რამ კი არ მომხდარა და ამის გაკეთებას არც მომავალში ვაპირებთ",** - აცხადებს სათბობენერგეტიკის მინისტრი, რომელიც სიამაყის განცდით იქვე იმასაც დასძენს, რომ მისი მინისტრობის პერიოდში უწყებას არანაირი ვალი არ დასდებია და ქვეყანაში შემოტანილი გაზისა თუ ელექტროენერგიის საფასური მთლიანად გადახდილია.

ძველ, 1991 -1999 წლებში დაგროვილ ვალებზე კი დავით მირცხულავა, ცხადია, არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს და აცხადებს, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, ამ ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე რუსეთის მხარესთან დალაპარაკებაა.

ირკვევა ისიც, რომ რუსეთი სულაც არ აპირებს 46,8 მილიონ დოლარზე ხელის ჩაქნევას და მის "ჩამოწერას". როგორც ენერგეტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი მირონ ფირცხელანი აცხადებს, ამ თანხის ნაწილის ამოღებას მოსკოვი იმით ცდილობს, რომ მოითხოვს, 23 მილიონი დოლარი (ანუ ვალის, დაახლოებით, ნახევარი) ერთობლივი ენერგოკომპანია "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალში ჩაიდოს.

**"რადგან საქმეს ვერ უძლვებიან, ქართველი ჩინოვნიკები კონტაქტში შედიან უცხოელ ბიზნესმენებთან და ჩვენთვის კაბალური პირობებით აძლევენ მათ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს",** - დაასკვნის ფირცხელანი.

ისე, ასეთი დასკვნის საფუძვლიანობაში, ჩვენი საზოგადოება უკვე არაერთხელ დარწმუნდა.

## ჩატარდება თუ არა ანტიკრიმინალური ოპერაცია სხვა რეგიონებშიც

პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ფაზის მესამე ეტაპი, რომელიც სერიოზული კრიმინალური დაჯგუფებების ლიკვიდაციას გულისხმობს, ჯერჯერობით არ დაწყებულა. თუმცა, ძალოვანთა ინფორმაციით, ორ დღეში განიარაღდება რამდენიმე სერიოზული დამნაშავე. ახმეტის პოლიციის უფროსის ავთანდილ თურქიაშვილის განცხადებით, გუშინ გენშტაბში ჩატარებულ ოპერატიულ თათბირზე პოლიციამ რამდენიმე მსხვილი კრიმინალის დაკავების გეგმა შეიმუშავა.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის პაატა გომელაურის ინფორმაციით, პანკისის ხეობაში გუშინ ახალი რაუნდი არ ჩატარებულა, პოლიციას არავინ დაუკავებია. მან უარყო გავრცელებული ინფორმაცია, პიტერ შოუსა და მამა ბასილის ხეობაში მძევლად ყოფნის შესახებ. **"მინდა, გითხრათ, რომ შსს-სა და მის ხელმძღვანელობას არასდროს დაუზუსტებია მძევალთა ადგილსამყოფელი და ჩასატარებელი ოპერაციის თარიღი თუ დრო. შს მინისტრს დაზუსტებით არ უთქვამს, სად იმყოფებიან პიტერ შოუ და ბერი ბასილ მაჩიტაძე. მან განაცხადა, - ჩვენი ინფორმაციით, პიტერ შოუ და მამა ბასილი ცოცხლები არიანო,"** – ამბობს პაატა გომელაური.

გომელაური ასევე შეეხო გავრცელებულ ინფორმაციას პანკისის ხეობის შემდეგ ანტიკრიმინალური ოპერაციის შიდა ქართლში ჩატარების თაობაზეც. **"ინფორმაცია გაუგებრობის შედეგად გავრცელდა. ანტიკრიმინალური ოპერაცია შსს-მ ცოტა ხნის წინ შიდა ქართლში ჩაატარა, მსგავსი ხასიათის რეიდი მოეწყო თბილისშიც. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს დროში ანტიკრიმინალური ტიპის ოპერაციები ჩატარდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და, მათ შორის, შიდა ქართლშიც,"** – განაცხადა პაატა გომელაურმა.

# ანდრია პირველწოდებულის მესამე შემობრძანება



*საქართველოს პატრიარქი და საბერძნეთის მთავარეპისკოპოსი*

პირველი გვერდიდან

**საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ნაწილები. მე ვფიქრობ, ეს ღმერთის დიდი განგება და ნიშანია."**

საბერძნეთის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი: **"1821 წლის ეროვნული აჯანყების შემდეგ საბერძნეთი თურქეთის ოთხ-საუკუნოვანი მონობისგან გათავისუფლდა, მაგრამ ჩვენს ეკლესიას შენარჩუნებული ჰქონდა თვითმყოფადობა, ენა და სარწმუნოება. ახლა ჩვენ ევროკავშირის წევრი ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომლის სახელმწიფო რელიგია მართლმადიდებლობაა. ევროპა დღეს დიდ სულიერ კრიზისს განიცდის და ჩვენ ყოველდღიურად გვიხდება ბრძოლა ჭეშმარიტების საქადაგებლად.**

**ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ დიდ დევნას განიცდიდა საქართველოს ეკლესია მეოცე საუკუნეში. ჩვენთან ასე არ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის გვქონდა პრობლემები სექტებისა და იმ უღმერთო ადამიანების გამო, რომელთაგან ზოგი აშკარად, ზოგი ფარულად ცდილობს ეკლესიის ძირის გამოთხრას. ამიტომ ჩვენ მუდამ ფხიზლად ვართ, რომ დავიცვათ ჩვენი ხალხი და ვიქადაგოთ სახარებისეული ჭეშმარიტება. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს მოღვაწეობას, რომელიც მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებისკენ არის მიმართული და გთხოვთ, ილოცოთ საბერძნეთის ეკლესიისა და მისი ღვთისმოსავი ხალხისათვის, რათა იგი არ გაწუდგეს ეკლესიას და კვლავაც გააგრძელოს ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის".**

ხვალ უნეტარესი ქრისტოდულოსი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება. შაბათს მოციქულის წმინდა ნაწილებს ბათუმში წააბრძანებენ. კვირას კი საზეიმო წირვა-ლოცვა მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარში აღევლინება. ორშაბათს საბერძნეთის სასულიერო დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდება და თან წაიღებს თავის სიმდიდრეს.

ეს იყო ანდრია პირველწოდებულის მესამე შემობრძანება საქართველოში. პირველი ორი მისი ამქვეყნიური ცხოვრების დროს მოხდა.


სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შესადგენად:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ზუსტი მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:


# არასტაბილური სტაბილურობის სტაბილურობა

პირველი გვერდიდან

უსუსურად გამოიყურებოდა დაბომბვის დღეს, მოგვიანებით უკვე ბევრად თავდაჯერებული ჩანდა.

პანკისში სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ ხელისუფლება უკვე ცდილობს, ამ ოპერაციას წარმატებული პიარი გაუკეთოს და ნაწილობრივ ახერხებს კიდევაც ამას. ხეობაში დიპლომატებისა და უცხოელი ჟურნალისტების წაყვანით კი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ სიტუაციას უკვე მთლიანად აკონტროლებს.

კანცელარია, პარალელურად, შიდა პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვასაც ცდილობს. სახელმწიფო მინისტრი ისევ ინტენსიურად განაგრძობს კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით თბილი ურთიერთობები ჯორბენაძეს არასამთავრობო სექტორის ყველაზე რადიკალურ წარმომადგენლებთან ჩამოუყალიბდა და მათ ყველა ინიციატივას უჩვეულო ენთუზიაზმით ხვდება.

სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობების მოგვარება რომ იყო საჭირო, ამის აუცილებლობა კანცელარიამ და, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძემ მაშინ იგრძნო, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები და იმ მომენტში გაერთიანებული ოპოზიცია, ხაჩიშვილის გათავისუფლების გამო, ერთად დაუპირისპირდა ხელისუფლებას. მაშინ დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ შევარდნაძის მხრიდან ერთი უხეში პოლიტიკური შეცდომა მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო ქუჩის დემონსტრაციების მიზეზი.

გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებზე და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციები ხშირად ხვდება ამ ორგანიზაციების მოხსენებებში. და, რაც ყველაზე მთავარია, სამოქალაქო სექტორს შეუძლია, საპროტესტო აქციებს სათავეში მოექცეს და ამით ეს აქციები უფრო ანგარიშგასაწევი და ხელისუფლებისთვის საშიში გახადოს.

კანცელარიასთან დაპირისპირებულ არასამთავრობოებს კონსტრუქციული თანამშრომლობა შესთავაზეს. შესაბამისად, დაპირისპირების ეს ტალღაც დროებით მინელდა. ძნელი სათქმელია, რა შედეგით დამთავრდება ეს კონსტრუქციული დიალოგი. უფრო მოსალოდნელია, რომ შედეგები არც თუ ისე მნიშვნელოვანი იქნება - მაგალითად, სკოლებში მშობელთა საბჭოების შექმნა თუ სხვა ტექნიკური დეტალების მოგვარება.

რაც შეეხება სამართალდამცავ სტრუქტურებში მონიტორინგის ჯგუფის შექმნასა თუ საარჩევნო კანონში პრინციპული ცვლილებების შეტანაზე კანცელარიასთან მოლაპარაკებებს, ეს, სავარაუდოდ, დროში დიდი ხნით გაიწელება და, საბოლოო ჯამში, რეალური შედეგით არ დამთავრდება. თუმცა, ამ საკითხებით არასამთავრობო ორგანიზაციების "შექცევა" გარკვეული პერიოდით მაინც მოხერხდება.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათი საზაფხულო ერთიანობა მხოლოდ სამი პარტიის მიერ ხელმოწერილი ზოგადი დეკლარაციით დამთავრდა. თვალშისაცემი გაღიზიანება გამოჩნდა სააკაშვილსა და ჟვანიას მიერ ერთმანეთის მიმართ გაკეთებულ განცხადებებშიც. არ არის გამორიცხული, ეს გაღიზიანებული ტონი მალე სერიოზულ კრიტიკაში გადაიზარდოს, რაც დიდ პრობლემებს შეუქმნის ოპოზიციურ ფრონტს. სამაგიეროდ, ხელისუფლებას ინტრიგების ჩასახლართად და სიტუაციის სამართავად ფართო ასპარეზი გაუჩნდება.

ასე რომ, უფრო სავარაუდოა, ამ შემოდგომაზე ქართული პოლიტიკური ცხოვრება ყოველგვარი სერიოზული დესტაბილიზაციის გარეშე, ბოლო წლების ჩვეული სცენარით წარიმართოს, ოდნავ შეცვლილი დეკორაციებითა და მოქმედი პირებით.

სამაგიეროდ, ზუსტად იგივე დარჩება პრობლემები. "იტერას" შემოსვლასაც, ალბათ, ველარაფერი დააკავებს, რადგან ოჯახური კლანების ინტერესებს, უკვე დიდი ხანია, ვერაფერი აოკებს. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით კი, "იტერასათვის" "თბილგაზისა" და "აზოტის" გადაცემა ზუსტად ჯდება პრეზიდენტის ნათესაობას ინტერესში.

ერთადერთი, რაც პასუხგაუცემელი რჩება, არის კითხვა - იქნება თუ არა გაზი ზამთარში?

*უცხოეთი*

## პალესტინაში მშვიდობის იმედი გაჩნდა

გიორგი ხელაშვილი

*ბოლო ორი წლის განმავლობაში გაკეთებულ ყველაზე ოპტიმისტურ განცხადებაში არიელ შარონმა პალესტინელებს სამშვიდობო პროცესის განახლება შესთავაზა.*

უკვე ერთი თვეა, ისრაელში დიდი ტერაქტი არ მომხდარა. პატარ-პატარა შეტაკებებს კი ებრაელებიც და პალესტინელი არაბებიც ისე შეეჩვივნენ, რომ მშვიდობის დარღვევად აღარც კი თვლიან. ისრაელის მთავრობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ სამშვიდობო ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა და პალესტინელებს მშვიდობის დამყარებაზე გადაუკრა სიტყვა.

ტელევიზიით გადაცემულ მიმართვაში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად ხედავს პალესტინელებთან ურთიერთობის გაუმჯობესობის შესაძლებლობას. შარონის თქმით, პალესტინელები, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ ძალადობის მეშვეობით საკუთარი სახელმწიფოს შექმნას ვერ ეღირსებიან.

თუმცა, შარონის ოპტიმისტური გამოსვლა კინაღამ გააბათილა ტერორისტული აქტის მცდელობამ, რომელიც ისრაელის სასაზღვრო სამსახურმა დროულად აღკვეთა. გუშინ, დილის საათებში ხაიფადან თელ-ავივისაკენ მიმავალ გზაზე სასაზღვრო დაცვის პატრულმა ორი ავტომანქანა შენიშნა, რომლებმაც გზიდან გადაუხვიეს. ერთ-ერთ დაკავებულ მანქანაში არც მეტი, არც ნაკლები, 600 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს და უსაფრთხოების წესების დაცვით ააფეთქეს.



*პალესტინაში მშვიდობიანმა სცენებმა იმრავლა.* REUTERS

ამ ინციდენტის მიუხედავად, შარონის სამშვიდობო ინიციატივა კვლავ ძალაშია. მისი განცხადებით, ისრაელის მთავრობა მზადაა, იმ პალესტინელ ლიდერებთან ითანამშრომლოს, რომლებიც მშვიდობას უჭერენ მხარს. იგულისხმება, რომ ამ ლიდერებს არ მიეკუთვნება არიელ შარონის დაუძინებელი მტერი – იასირ არაფატი.

პალესტინელების მთავარმა წარმომადგენელმა ისრაელთან კონფლიქტის მოგვარებაში საებ ერექათმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებას. დანარჩენმა პალესტინელმა ლიდერებმა არიელ შარონის წინადადებას "სისულელე" უწოდეს, რადგან, მათი თქმით, ყველა პალესტინელი მშვიდობის მომხრეა.

ისრაელის სამშვიდობო ინიციატივა პალესტინელების ერთ-ერთი ცნობილი ლიდერის - მარვან ბარგუთის სასამართლო პროცესს დაემთხვა. ბარგუთი არაფატთან დაახლოებული პირი და მოძრაობა "ფათჰის" გასამხედროებული ფრთის მეთაურია. ისრაელი მას ტერორისტული აქტების ორგანიზებას აბრალებს, რომლებმაც 26 ებრაელი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბარგუთის გასამართლებით ისრაელი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ პალესტინელების ხელმძღვანელობა და პირადად იასირ არაფატი ტერორისტულ საქმიანობაში არიან ჩართულნი.

ბარგუთი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ პოლიტიკოსია და არა ტერორისტი. იგი საერთოდ უარყოფს ისრაელის სასამართლოს უფლებამოსილებას და დაცვის აყვანაზეც უარს ამბობს. ებრაელების მიერ ბარგუთის დაპატიმრებამ და გასამართლებამ მისი ავტორიტეტი პალესტინელებს შორის მნიშვნელოვნად გაზარდა. ბევრი პალესტინელი მას არაფატის მემკვიდრედაც ასახელებს. თუმცა, თუ ისრაელის სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო, ბარგუთს სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობას მიუსჯიან.

## ავღანეთის პრეზიდენტი თავდასხმას გადაურჩა

ყანდაჰარში გუშინ თავს დაესხნენ ავღანეთის პრეზიდენტს ჰამიდ ქარზაის, რომელიც ქალაქში ნათესავის ქორწილში ჩავიდა. პრეზიდენტი მის შესახვედრად შეკრებილ ხალხს თავისი ლიმუზინის ფანჯრიდან ესალმებოდა. მის კორტეჟს მოულოდნელად უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა და ორჯერ ისროლა ავტომანქანის მიმართულებით. თავდამსხმელი პრეზიდენტის ამერიკელმა მცველებმა ადგილზევე მოკლეს, მაგრამ, იმავდროულად, რამდენიმე უდანაშაულო ადამიანიც დაჭრეს.

უვნებლად გადარჩენილი პრეზიდენტი მოგვიანებით ქაბულში დაბრუნდა და განაცხადა, რომ წარმოდგენა არა აქვს, თუ ვის დასჭირდა მისი სიცოცხლის ხელყოფა.

პრეზიდენტზე თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე ტერაქტი მოხდა ქაბულის ცენტრშიც, სადაც ავტომობილში ჩამონტაჟებული ბომბი აფეთქდა. მანქანის აფეთქებას წინ უფრო მცირე



*აფეთქების მსხვერპლი ქაბულში.* REUTERS

ბომბის დეტონაცია უძღოდა. სულ მცირე, თხუთმეტი ადამიანი მაინც დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ათეული საავადმყოფოში მოათავსეს.

ბოლო ორ თვეში ქაბულში რამდენჯერმე ააფეთქეს ბომბი, მაგრამ გუშინდელი ტერაქტი მათ შორის ყველაზე სერიოზული იყო. უკანასკნელად პოლიციამ ასაფეთქებელი ნივთიერება ქაბულის ცენტრში ივლისში გააუვნებელყო. მაშინ ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტერაქტი პრეზიდენტ ჰამიდ ქარზაის წინააღმდეგ მზადდებოდა.

გუშინდელი აფეთქება ქალაქის ცენტრალური ნაწილის სავაჭრო უბანში მოხდა, ინფორმაციისა და კულტურის სამინისტროს შენობის მახლობლად. ქაბულის პოლიციის უფროსის მოადგილემ აფეთქებაში მაშინვე ოსამა ბინ ლადენის "ალ ქაიდას" ტერორისტული ქსელი, თალიბანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰექმათიარი დაადანაშაულა.

## ლიბია, შეიძლება გახდეს პირველი ბირთვული არაბული სახელმწიფო

პირველი გვერდიდან

იარაღის შესაძლო გამოყენების შემთხვევისათვის. მოსახლეობას ურიგებენ აირწინაღებს და სამოქალაქო თავდაცვის ზომებს იღებენ. თუმცა, შარონის განცხადებით, საფრთხე მარტო ერაყიდან არ მოდის. **"ლიბია თანდათან იმაზე უფრო სახიფათო ქვეყანა ხდება, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. ის, შესაძლოა, პირველ ბირთვულ არაბულ სახელმწიფოდ გადაიქცეს,"** – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა. მას არ დაუკონკრეტებია, თუ რა სახის იარაღს ამზადებს ლიბიის ხელისუფლება. თუმცა, ანალიტიკოსთა აზრით, საუბარია ბირთვულ იარაღზე, რომელსაც, ქიმიურ და ბიოლოგიურ არსენალთან შედარებით, გაცილებით დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. შარონის განცხადებით, ისრაელის სპეცსამსახურები ლიბიაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ, ხოლო ისრაელის ხელისუფლება მოსალოდნელი დარტყმის მოსაგერიებლად ემზადება.

არიელ შარონის აღნიშნულ განცხადებას ლიბიის მთავრობის კომენტარი ჯერ არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ ლიბიასთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები დიდმა ბრიტანეთმა აღადგინა. ამას ლიბიის პრეზიდენტი მოამარ კადაფი დიდი სიხარულით შეხვდა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციას თავს დააღწევს.

## არაბულ სახელმწიფოთა ლიგა ერაყში შეჭრის წინააღმდეგია

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კაიროს შეხვედრაზე გადაწყვიტეს ერთობლივი განცხადების გამოქვეყნება, რომელშიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შესახებ ამერიკელების მუქარას გმობენ. კაიროს შეხვედრაზე, რომელიც თითქმის მთლიანად ერაყის პრობლემას დაეთმო, აშკარად გამოჩნდა, რომ არაბული ქვეყნები ცდილობენ, ნებისმიერ ფასად აირიდონ ახალი ომი ახლო აღმოსავლეთში.

მეორეს მხრივ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ ერაყსაც მოუწოდა, აღადგინოს კონტაქტი გაერო-სთან და ქვეყანაში ინსპექტორების მისია შეუშვას. ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ პასუხად განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუში გაერო-ში "სიცრუის" წარდგენას აპირებს, რათა ერაყის წინააღმდეგ ომის მანდატი მიიღოს.

## ბელორუსს რუსეთთან დაახლოება უნდა

ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებით, ბელორუსი, ნებისმიერი ზეწოლის მიუხედავად, არ დაარღვევს შეთანხმებას რუსეთ-ბელორუსის კავშირის შესახებ. **"ბელორუსი ყოველთვის იყო რუსეთის აღიარებული და საიმედო პარტნიორი. ჩვენ წმინდად მივიჩნევთ და ვაფასებთ იმ შეთანხმებას, რომელიც დღეს არსებობს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბელორუსში რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ალექსანდრ ბლოხინის მიღებისას. თუმცა, ლუკაშენკოს არ დაუკონკრეტებია, თუ ვისგან ემუქრება საფრთხე საკავშირო ხელშეკრულების დარღვევას. თავის მხრივ, რუსეთის ელჩმა აღნიშნა, რომ მინსკში გამგზავრების წინ მას პრეზიდენტმა პუტინმა უშუალოდ დაავალა მუშაობა ბელორუსი და რუსი ხალხების ძმობისა და მეგობრობის გასაძლიერებლად და გასამყარებლად.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტმა თავის ბელორუს კოლეგას წერილი გაუგზავნა და ორი სახელმწიფოს ინტეგრაციის საკითხებზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა შესთავაზა. პუტინის წერილში ლაპარაკი იყო სამ ვარიანტზე: ორი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება ევროკავშირის მსგავსად და გაერთიანება ამჟამინდელი საკავშირო შეთანხმების საფუძველზე. ჯერჯერობით ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. დამკვირვებელთა თქმით, მოსკოვი უპირატესობას პირველ ორ ვარიანტს ანიჭებს.

## პრეზიდენტ ბუშზე მოსალოდნელი თავდასხმა აღკვეთეს

აშშ-ს პოლიციამ დააკავა პიროვნება, რომელიც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე თავდასხმის მომზადებაშია ეჭვმიტანილი. დაკავებულის ავტომანქანაში 10 კარაბინი და 6 პისტოლეტი აღმოაჩინეს. ეჭვმიტანილის ავტომანქანა, რომელიც მძღოლს გამჭირავებელი პუნქტიდან ჰყავდა გამოყვანილი, თეთრი სახლიდან სამი კილომეტრის მოშორებით გააჩერეს. არც ერთი იარაღი რეგისტრირებული არ იყო. დადგინდა, რომ სავარაუდო ტერორისტის სახელია ჯეფრი კლოტიე. იგი 33 წლისაა და ნიუჰემფშირის ქალაქ ნიუპორტში ცხოვრობს. როგორც გაირკვა, კლოტიე ეპილეფსიითაა დაავადებული. ასევე ცნობილი გახდა, რომ იგი მეგობრებთან პირად საუბრებში თეთრი სახლის პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავდა და პირობას დებდა, რომ პოლიტიკურ ვითარებას გამოასწორებდა. ჯერჯერობით დაუდგენელია, ეჭვმიტანილი მარტო მოქმედებდა თუ ვინმეს დავალებას ასრულებდა.

უნდა ითქვას, რომ მეოცე საუკუნის განმავლობაში ციფრ 0-ით დასრულებულ წელს არჩეულ არც ერთ პრეზიდენტს არ გაუმართლა – ბევრი მათგანი საპრეზიდენტო ვადის დასრულებას ვერ მოესწრო. ჯორჯ ბუშიც 2000 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად მოვიდა თეთრ სახლში.

# "ბალანსი", როგორც კინოფესტივალების იდეალი

## ვენეციაში 59-ე კინოფესტივალი მიმდინარეობს

გიორგი გვახარია

### წერილი მეორე

გასულ წელს ერთმანეთს დაემთხვა იტალიაში არჩევნები და კანის კინოფესტივალი. მაშინ კანში, "ა" კლასის ამ კინოფორუმზე ჩაბრძანებულმა სტუმრებმა, დასავლეთის ყველაზე გავლენიანმა კინემატოგრაფისტებმა ერთობლივ პეტიციას მოაწერეს ხელი ბერლუსკონის წინააღმდეგ, მერე კი ჟიურის თავმჯდომარის, ლივ ულმანის "თამადობით", მთავარი პრიზი ბერლუსკონის დაუძინებელ მტერს, იტალიელ მემარცხენეთა ერთ-ერთ ლიდერს, ნანი მორეტის გადასცეს. ეს იყო ძალიან სიმპათიური, მაგრამ "ოქროს პალმისთვის" სრულიად შეუფერებელი ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი". ამბობენ, რომ რომის ზოგიერთ უბანში მორეტის ფილმის გამარჯვებით აღფრთოვანებულ იტალიელ მემარცხენეებს მუშტი-კრივშიც მოუხდათ ჩაბმა მემარჯვენეებთან, რომლებიც ბერლუსკონის გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ომის შემდეგ იტალიური კინო მთლიანად მემარცხენეების საკუთრება გახდა. ფრანკო ძეფირელის, ფაქტობრივად, ერთადერთ რეჟისორს, რომელიც თავის მემარჯვენე პოზიციას არასდროს მალავდა, იტალიელი კინემატოგრაფისტები სწორედ ამიტომ მიიჩნევდნენ "ანომალიად" და ახლოს არ იკარებდნენ.

ბერლუსკონიმ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ ამ უმრავლესობას ვერ მოერეოდა, ამიტომ, ყველასთვის მოულოდნელად, მხარი დაუჭირა კიდევ ერთი "ა" კლასის კინოფორუმის, ვენეციის კინოფესტივალის ახალი დირექტორის თანამდებობაზე მორიც დე ჰადელნის დანიშვნას. ასე აღმოჩნდა უკიდურესი მემარცხენე კინემატოგრაფისტი (უფრო სწორად კინომენეჯერი) ქვეყანაში, სადაც მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს. ამ "უკიდურესობით" (სხვა სიტყვა რომ ვიხმაროთ - "ულტრამემარცხენეობით") მორიც დე ჰადელნმა ვენეციის ფესტივალის პროგრამის შედგენისას გამოიჩინა თავი. მან წლევანდელ პროგრამაში ჩართო, მაგალითად, 30-იანი წლების საბჭოთა ფილმების რეტროსპექტივა, რაც იმით ახსნა, რომ "ვენეციის პირველ კინოფესტივალზე, 1932 წელს, ნიკოლაი ეკის "ცხოვრების საგზურმა"გაიმარჯვა". წლევანდელი ფესტივალის გახსნის დღეს კი უჩვენა ჯული ტეიმორის ფილმი "ფრიდა", რომელიც ფრიდა კალოსა და მისი ქმრის, კომუნისტი მხატვრის, დიეგო რივიერას კინობიოგრაფიაა, ფილმი, რომლის დაფინანსებაზე ჰოლივუდში უამრავმა პროდიუსერმა თქვა უარი (როგორც "კომუნისტურზე"). სხვათა შორის, ფრანგული მემარცხენე პრესა, კერძოდ გაზეთი "ლიბერასიონი," "ფრიდას" ლამაზი საფოსტო ბარათების "კალეიდოსკოპს" და პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით, "ინფანტილურ კოლოსს" უწოდებს. თუმცა, ფრანგების აზრი ახლა არაა მთავარი. ვენეციის ახალი ფესტივალისთვის "ფრიდა" გახდა მაგალითი პოლიტკორექტულობისა, უფრო სწორად, პოლიტიკური ბალანსისა, რომელიც განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მაყურებელს დააკმაყოფილებდა.

ვენეციის წლევანდელი ფესტივალის საკონკურსო პროგრამებს რომ გადავხედოთ, აუცილებლად მოგვხვდება თვალში ასეთი, ანტიკომუნისტური, თუ ანტისაბჭოთა, მაგრამ "მემარცხენე" ფილმების სიჭარბე.



ლილიანა კავანი და ჯონ მალკოვიჩი ვენეციის წლევანდელ ფესტივალზე
REUTERS

მაგალითად, შვედი ტროცკისტის, ლუკას მუდისონის "ლილა, სამუდამოდ", რომლის მოქმედება ბალტიისპირეთის რომელიღაც ანონიმურ ქალაქში, ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ხდება და აქაურ რუსებს ეძღვნება, უფრო ზუსტად კი რუს გოგონებს, რომლებიც "საერთაშორისო მეძავის" კარიერაზე ოცნებობენ. ასეთი უნდა იყოს კეტრინ ბიგელოუს "K-19", რომელშიც ჰარისონ ფორდი საბჭოთა კაპიტნის როლს თამაშობს... ხოლო ფესტივალის პროგრამებში ისეთი რეჟისორების ახალი ფილმების ჩართვა, როგორიცაა ლილიანა კავანი, მარკო ბელოკიო, ჯუზეპე ბერტოლუჩი, სტივენ ფრირზი, მოგვანიშნებს, რომ მორიტც დე ჰადელნმა თავის პრინციპებს არ უღალატა და ყველა პროგრამა დასავლური მემარცხენეობის პრინციპებზე ააგო, იმ პრინციპებზე, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია არასდროს იღებდა (ლილიანა კავანისა და მარკო ბელოკიოს, დასავლეთში "ტროცკისტებად" წოდებული კინემატოგრაფისტების, ფილმებს კაგებე საიდუმლო არქივებში ინახავდა) და არც ეს ხალხი იზიარებდა საბჭოთა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს.

სხვათა შორის, დაახლოებით 5 წლის წინ "ლიტერატურნაია გაზეტაში" ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ანდრეი პლახოვმა მორიც დე ჰადელნს 80-იან წლებში საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა დააბრალა. "ბერლინალეს" მაშინდელი დირექტორი სასამართლოში ჩივილით იმუქრებოდა, მაგრამ არა თუ გადაიფიქრა, არამედ მომდევნო წელს პირადად დაპატიჟა პლახოვი ბერლინის ფესტივალზე. რუსებთან კი მას მართლაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. წელს, მაგალითად, ვენეციის ფესტივალის ჟიურიში მან ევგენი ევტუშენკო მიიწვია ("ეს მემარცხენე ფესტივალია, ამ სიტყვის კარგი გაგებით" – უთხრა ევტუშენკომ "იზვესტიას" კორესპონდენტს), კონკურსში კი ჩართო ანდრეი მიხალკოვ-კონჩალოვსკის ფილმი "სულელების სახლი" – "ცხელ ზონაში" აშენებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოზე, რომელიც ხან ჩეჩნების, ხანაც რუსი ("ფედერალების") ხელში გადადის. რუსული პრესა უკვე თავს დაესხა კონჩალოვსკის- "ანტირუსული", "პროჩეჩნური" უწოდა "სულელების სახლს". რეჟისორი კი თავს იმართლებს "ომის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ისეთია, როგორც ტოლსტოის ჰქონდაო". კონჩალოვსკის ფილმით მორიც დე ჰადელნმა "ასიანში მოარტყა" – ჰოლივუდიც დააკმაყოფილა ("ანდრონი" ხომ კარგა ხანია, ამერიკაში გადაიხვეწა), ევროპელ პაციფისტებსაც ასიამოვნა, რუსები კი თან გაახარა (რუსულენოვანი ფილმი ჩართო "ა" კლასის ფესტივალის კონკურსში) და, თანაც, გული დაწყვიტა.

მოკლედ, ყველა დიდი ფესტივალი რუტინად იქცა. უკვე წინასწარ ხვდები, რომელი ტენდენცია გამოიკვეთება "ა" კლასის კინოფორუმზე და გულწრფელად რომ გითხრათ, პირადად მე ინტერნეტითაც ვიკმაყოფილებ პროფესიულ ინტერესს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ფესტივალებზე აღარაფერი რჩება პოლიტიკის გარდა. ამას ადასტურებენ ის კინოჟურნალისტებიც, რომელთაც, პირადად მე, ყოველთვის ვენდობოდი. "მონდის" კინომიმომხილველის, ჟანფრანსუა მოჟეს აზრით, ვენეციაში ჯერჯერობით ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ ფრანგი რეჟისორის კლერ დენის ახალი სურათი "პარასკევი საღამო", რომელშიც "კინო მეტია, ვიდრე იდეოლოგია". თუმცა, ფესტივალის დახურვამდე კიდევ რამდენიმე დღე დარჩა და ტრადიციულად, ყველაზე ძლიერი ფილმების ჩვენება ფინალისთვისაა დაგეგმილი. მოვიცადოთ 8 სექტემბრამდე, როცა ჟიური, ჩინელი მსახიობის, გონგ ლის მეთაურობით, მორიც დე ჰადელნის ფავორიტებს გამოაცხადებს.

# „ჩრდილები„ მოდისა და სიახლის გასანათებლად

## ქარვასლაში თანამეროვე ფრანგული ფოტოგამოფენა გაიმართა

დავით ბუხრიკიძე

თბილისის ისტორიის მუზეუმში, რომელსაც კლასიკური ინერციით დღესაც ქარვასლას უწოდებენ, გუშინ თანამედროვე ფრანგი ფოტოგრაფების გამოფენას ფრანკოფონების ტრადიციული აღტყინება და სახელოვნებო ჟღურტული მოჰყვა. საფრანგეთის საელჩო განახლებული შემადგენლობით მოვიდა. “ქარვასლაში” შეკრებილ ჭრელ და ნაცნობ საზოგადოებას კულტურის ყოფილი ატაშეს, ქალბატონ პასკალ ჟუსტის ნაცვლად მისი კოლეგა, ფრანსუა ლორანი წარუდგა, რომელსაც საელჩომ გამოფენის გახსნის პატივი ანდო. “ეს არის პარადოქსული და ჩემი აზრით, თეატრალური გამოფენა, თუმცა ბევრი ნამუშევარი თითქმის დოკუმენტური სტილით გამოირჩევა. სიახლე და სიცხადე ახალგაზრდა ფოტოგრაფებისათვის ერთმანეთის ტოლფასია და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი საერთოდ არ გვანან კლასიკოსებად შერაცხულთ, მაგალითად, კარტიე-ბრესონს ან დანიელ სტიერს”, – აღნიშნა მუსიე ლორანმა.

კულტ-გამოფენას ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩის ახალი მოადგილე, ბატონი კრისტიან მიშალაკი და თბილისს დიდი ხნით შემორჩენილილი საელჩოს კონსული ბატონი ბარო. თბილისური შემადგენლობა გაცილებით ტრადიციული და ჭრელი იყო – არასამთავრობო ორგანიზაციების ნორჩი გოგო-ბიჭებიდან დაწყებული, ქართველი ფოტოგრაფების თითქმის სრული შემადგენლობით დამთავრებული.

კლასიკოს იური მეჩითოვის “სპიჩი” თითქმის იგავს უახლოვდებოდა: “საფრანგეთი ჩვენთვის ყოველთვის ასოცირდებოდა მოდასთან, კინოსთან და შანსონიეებთან. ამჯერად კი აღმოვაჩინეთ ახალგაზრდა და ჩვენთვის უცნობი ფოტოგრაფები, რომელთაც არ ვიცნობთ. თუმცა მათი ფოტონამუშევრები საინტერესოზე მეტია”.

ვერ გეტყვით, გაიზიარებენ თუ არა ამგვარ მოსაზრებებს დანარჩენი, ძალიანაც ცნობისმოყვარე ფოტოგრაფები, მაგრამ სიახლის მძაფრი სურნელი ზედმეტად პრიალა ფოტოებიდან აშკარად გამოსჭვივის.

ყველაფრის მიუხედავად, “მოდის ახლებური ფოტოგრაფია” ჩვენს ღარიბულ ფოტომეხსიერებას აშკარად წაეხმარება დაძლიოს ცრუწარმოდგენა, თითქოს მოდა და ფოტოგრაფია სტერილური სილამაზის უსქესო დაძმები იყვნენ. როდესაც შეხედავთ “ქარვასლაში” გამოფენილ, მოდისაგან ხაზგასმულად განძარცვულ და სოციალური სიმძაფრის მქონე პეიზაჟებსა თუ ლანდშაფტებს, იგრძნობთ, რომ ფრანგები ტანსაცმლის სივრცეში ტრანფორმაციას კი არ გულისხმობენ, არამედ მის ობიექტად ქცევას. და თუ არ გჯერათ, თავად შეგიძლიათ გამოფენა მოინახულოთ, მითუმეტეს, რომ იგი უფასოა. ერთ-ერთ ნამუშევარს “ჩრდილი” ეწოდება, ეს კი ნიშნავს, რომ სინათლე სადღაც ახლოა და მოდის მეგობარიცაა.



საფრანგეთის კულტურის ატაშე ფრანსუა ლორანი "ქარვასლის" დირექტორთან, ლია მამაცაშვილთან ერთად
იური ლობოდინის ფოტო

# სოფიკო ჭიაურელი "სიყვარულს ემშვიდობება"

ნანა კობაიძე

**გუშინ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში პრემიერა გაიმართა. “სიყვარულის სულთათანა” ანუ დამშვიდობება სიყვარულთან - ასე ეწოდება გაბრიელ გარსია მარკესის პიესას, რომლის მიხედვითაც რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ სპექტაკლი დადგა. მთავარ როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებს. სპექტაკლის რეჟისორია რობერტ მანუკიანი, მხატვარი – იური გეგეშიძე. მუსიკა ეკუთვნის გია ყანჩელს. წამოდგენის წამყვანია – მალხაზ გოდერძიშვილი, რომელსაც, სხვათა შორის, გუშინ ღირსების ორდენი გადასცეს.**

“არაფერი ჰგავს ისე ჯოჯოხეთს, როგორც ბედნიერი ცოლქმრობა” – ასე იწყება სპექტაკლი და მოგვითხრობს ქალზე, რომელიც იდეალურ მამაკაცს ეძებს და დაკარგულ სიყვარულს მისტირის. თემა ნაცნობია და არაერთგზის გადამღერებული, თუმცა ამ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია არა - რა, არამედ – როგორ. როგორ გაართვა მსახიობმა თავი დაკისრებულ მოვალეობას, ამაზე თეატრმცოდნეები უკეთ ისაუბრებენ. თუმცა, ერთი არ შეიძლება არ აღინიშნოს – ქალბატონი სოფიკო სპექტაკლში ბოლომდე იხარჯება.

მარკესის ეს ერთადერთი პიესა ორიოდე წლის წინათ ქართულ ენაზე თეა გვასალიამ თარგმნა. “როდესაც თარგმანი დედაჩემს (ნარგიზა მგელაძეს) წავუკითხე, მითხრა - ამ როლს ყველაზე კარგად სოფიკო ჭიაურელი ითამაშებსო და მიხარია, რომ მათი აზრები დაემთხვა”, – თქვა თეა გვასალიამ, რომლის თარგმანსაც პრემიერაზე საგანგებოდ გაუსვეს ხაზი.

პიესა მოეწონა თემურ ჩხეიძესაც, რომელიც მანამდე ერთი მსახიობის თეატრში სოფიკო ჭიაურელთან ერთად ჟან კოკტოს “ადამიანის ხმის” დადგმას აპირებდა. თავად რეჟისორი ახალი სპექტაკლის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ამბობს – შეფასებისთვის დრო სჭირდება, თუმცა დამსწრე საზოგადოების ემოციებით თუ ვიმსჯელებთ, მაყურებელი უკმაყოფილო არ ჩანდა. თავად რეჟისორისთვის პირველ მონოსპექტაკლზე მუშაობა განსაკუთრებული სიახლით არ გამოირჩეოდა. “ეს დაახლოებით იმას ჰგავს, მწერალი ნოველას დაწერს თუ რომანს. განსხვავება პროდუქციაშია და არა მუშაობაში”, – გვითხრა მან.

8 სექტემბერს თემურ ჩხეიძე მოსკოვში მიემგზავრება, სადაც “მხატში” ახალ სპექტაკლს დადგამს. ეს არის თანამედროვე პიესა ცნობილ ფიზიკოს ნილს ბორზე, რომელშიც ოლეგ ტაბაკოვი ითამაშებს. ხოლო დეკემბერში კიდევ ერთი ახალი სპექტაკლია დაგეგმილი მარჯანიშვილის თეატრში.

# საფრანგეთის საელჩოს ახალი კულტურის ატაშე ჰყავს

## ექსკლუზიური ინტერვიუ ფრანსუა ლორანთან

თეონა ჯაფარიძე

ქართულ კულტურულ წრეებში უკვე კარგად ცნობილმა საფრანგეთის საელჩოს ყოფილმა კულტურის ატაშემ, ქალბატონმა პასკალ ჟიუსტიმ თავისი "უკანასკნელი ტანგო" თბილისში, ივლისის თვეში, ჩვენთან ფრანგი ქორეოგრაფების ჩამოყვანითა და ქართულ დასთან ერთად დადგმული ბალეტის "კოპელიას" ჩვენებით შეასრულა. საქართველოში ყოფნის ხუთი წლის მანძილზე, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ფრანგულ ქორეოგრაფიას, კინოს, ფოტოგრაფიასა და მუსიკას შეძლებისდაგვარად გვაზიარა და კულტურულ-დიპლომატიური მისიის გასრულების შემდეგ პარიზს დაუბრუნდა.

-"გამარჯობათ", - უცხოელთათვის დამახასიათებელი აქცენტითა და გაწელილი ხმოვანი "ო"-თი შემოგვეგება დღეს ახალი კულტურის ატაშე და საკუთარი თავი მოკლედ და ლაკონურად ასე გაგვაცნო: "მე ვარ ფრანსუა ლორანი, ფრანგი, 44 წლის." შემდეგ გამართული რუსულით, უკვე როგორც მასპინძელმა, ბოდიში მოგვიხადა საელჩოს შენობაში გამეფებული არეულობის, რემონტისა და საღებავის სუნის გამო. მასთან საუბარი, მისი თანაშემწის, ეკა ენუქიძის დახმარებით, ფრანგულ ენაზე გავაგრძელეთ.

ფრანსუა ლორანი პროფესიით რუსული ლიტერატურისა და თარგმანის სპეციალისტია. ხუთი წლის მანძილზე ის ფრანგულ ენასა და თანამედროვე ლიტერატურაში ლექციებს კითხულობდა ალმა-ატის, რიგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში.

"ჩემი კარიერის დიდი ნაწილი საელჩოებში მაქვს გატარებული. მოსკოვში, 1994 წლამდე, 8 წელი დავყავი. ვიდრე სსრკ არსებობდა, საფრანგეთსა და ამ ქვეყანას შორის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დარგში ურთიერთობებს ვკურირებდი. 4 წლის მანძილზე გახლდით რუსულ ტელევიზიაში ყოველკვირეული ფრანგული ენის შემსწავლელი სამსაათიანი გადაცემის კონცეფციის ავტორი და წამყვანი.

"პერესტროიკამ" მოსკოვში ყოფნის დროს მომისწრო. მახსოვს, 1986-87 წლებში მთავრობამ მაშინდელ კინო-კავშირში შეაგდო "პერესტროიკის" იდეა. იმ წლებში ბევრ კინემატოგრაფისტს შევხვდი, მათ შორის, ნანა ჯორჯაძესა და ირაკლი კვირიკაძეს,- თქვა მან.

მოსკოვში მოღვაწეობის წლებში ფრანსუა ლორანი, როგორც ტურისტი, სამჯერ ჩამოსულა საქართველოში. 80-იან წლებში ყოფილა თბილისში, კახეთსა და რაც მთავარია, აფხაზეთში. მოუნახულებია სოხუმი, ახალი ათონი და ბიჭვინთა.

მის დიპლომატიურ კარიერაში შემდეგი ეტაპი იყო 1995-2000 წლებში, მინსკში კულტურული ატაშეს თანამდებობა.

2000 წლიდან 2002 წლის "გასულ კვირამდე", როგორც თავად აღნიშნავს, ის საფრანგეთში, თავის მშობლიურ ბორდოში კვლავ რუსული ენის სწავლებით და "არა მეღვინეობით იყო დაკავებული."

თბილისში თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებას,იგი კვირის დასაწყისში - 2 სექტემბერს შეუდგა.

"ჩემი კულტურული პროგრამა, პირველ რიგში, გააგრძელებს იმ წამოწყებებს, რომლებსაც ჩემი წინამორბედისა და მეგობრის პასკალ ჟიუსტის საქართველოში მოღვაწეობის დროს ჩაეყარა საფუძველი.

უპირატესობას ქართული და ფრანგული მხარეების თანამშრომლობას ვანიჭებთ. მაგალითად: ფრანგებმა "ქართულ ხმებს" მოუსმინეს. თქვენ კი "ბაროკოს" მუსიკას მოგასმენინებთ." შემდეგ ხუმრობით დასძინა: "თუმცა, ზოგიერთი თქვენი თანამემამულე ჩვენი სამსახურის გარეშეც მშვენივრად ახერხებს ფრანგებთან და საფრანგეთთან ურთიერთობას: ივლისში, ვიდრე საქართველოში წამოვიდოდი, პარიზში რეზო გაბრიაძე ვნახე. ხელი გამომიწოდა, წარმატებები მისურვა, და ერთი წლით დამემშვიდობა, რადგან ის ერთი წლით საფრანგეთში რჩებოდა."

კულტურის ახალი ატაშე, რომელიც, ამავე დროს ,"ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის" დირექტორიცაა, ქართველ გამომცემლებს საინტერესო თანამშრომლობას სთავაზობს: მათ საშუალება მიეცემათ, ნებისმიერი ჟანრის წიგნები, რომლებიც დღეს საფრანგეთში გამოიცემა, საქართველოშიც გამოსცენ.

ცნობილი "ფრანგული კულტურული პოლიტიკა" და კულტურის ახალი ატაშე ქართველ მხატვრებთან, მუსიკოსებთან, ქორეოგრაფებთან თუ რეჟისორებთან არტისტული თანამშრომლობისათვის კვლავ მზად არიან. პარალელურად, თბილისის ახალი კულტურული სეზონი ფრანგულ ჯაზს, ვარიეტეს, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას უმასპინძლებს. მაგალითად, უკვე შევიტყვეთ, რომ ნოემბერში თბილისს ქორეოგრაფი ჟიბერ მეიერი ეწვევა.

გუშინ კი ფრანსუა ლორანმა ქართული საზოგადოება ფოტო-გამოფენის Visionsol-ის გახსნაზე დაპატიჟა..

# „ბატიგოლი" და „ჩომაგოლი" ამხანაგები არიან

გიგა გურასაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოში აუზების წყალი დაშრა, წყალბურთელთა უმეტესობამ თავს უშველა და ბედის საძიებლად უცხოეთს მიაშურა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რევაზ ჩომახიძე, რომლის შესაძლებლობები კარგად იციან წყალბურთის სამყაროში. ამჟამად იგი რუსეთის სახელით ასპარეზობს და ამ გუნდის წარმატებათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელია. ქართული წყალბურთის სკოლის აღზრდილს ხშირად მარტოს შემოუბრუნებია მატჩის ბედი. წლევანდელი სეზონი კი მის კარიერაში გამორჩეულია. წყალბურთელთა მსოფლიო ლიგაში გამარჯვებას ამ ორი კვირის წინათ დასრულებული მსოფლიო თასიც მიაყოლა (ფინალში, უნგრელებთან მატჩის დასრულებამდე ხუთი წამით ადრე, მეორე და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა). დღეს იგი თბილისშია. ჩვენ ვისარგებლეთ ამ შემთხვევით - "24 საათის" რედაქციაში სტუმრად მოსულ ჩომახიძეს ჯერ წყალბურთში გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

**- როდის და როგორ დაიწყეთ წყალბურთის თამაში?**

- ჩემი მშობლები თბილისიდან წყალტუბოში გადავიდნენ საცხოვრებლად. ექვსი წლისა დედაჩემმა აუზზე მიმიყვანა. თავდაპირველად ცურვაში ვვარჯიშობდი, თუმცა, შიგადაშიგ წყალბურთშიც გვავარჯიშებდნენ. ბოლოს წყალბურთმა სერიოზულად გამიტაცა. რამდენიმე წელიწადს იქვე, წყალტუბოში ვვარჯიშობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში დავბრუნდით. ამასობაში უნივერსიტეტში ჩავაბარე. საერთაშორისო სარბიელზე კი, პირველად 18 წლისა, მსოფლიო პირველობაზე გამოვედი. მე-11 ადგილი დავიკავეთ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაში უხდებოდა ვარჯიში საქართველოს ნაკრებს, ესეც დიდი ამბავი იყო. არეულობის დროს წყალბურთისთვის, და საერთოდ, სპორტისთვის არავის ეცალა. არც წყალი გვქონდა, არც - დენი.

**- მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდით?**

- დიახ. მაშინ ჩემით იტალიელები დაინტერესდნენ და მიმიწვიეს ფლორენციულ კლუბში "რარი ნანტესში", რომელშიც ოთხი სეზონი გავატარე.

საუბარში ჩაერთო ყოფილი წყალბურთელი შოთა ბაღათურია, რომელიც ჩომახიძესთან ერთად გვეწვია რედაქციაში: "რეზომ ფლორენციელებს იმედები გაუმართლა. იტალიურ კლუბშიც ბომბარდირი გახდა, რის გამოც მას "ჩომაგოლიც" დაარქვეს. ალბათ, მიხვდებით რატომაც. იმხანად "ფიორენტინაში" ბატისტუტა საუკეთესო ფორმაში იყო და გოლი გოლზე გაჰქონდა. არგენტინელი ფეხბურთელი ბომბარდირი გახდა და გულშემატკივრებმა "ბატიგოლი" შეარქვეს. წყალბურთის გულშემატკივრებმა ფეხბურთის ფანთა რეცეპტს მიმართეს: ასე გახდა რევაზ ჩომახიძე "ჩომაგოლი". სხვათა შორის, ბატისტუტას იცნობს კიდეც.

**- მართლა?**

- ვერ ვიტყვი, რომ მეგობრები ვართ, მაგრამ ნამდვილად კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**- რუსეთში წასვლა რამ გადაგაწყვეტინათ?**

- როდესაც საქართველოს ნაკრებმა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გასასვლელი ლიცენზია ვერ მოიპოვა, თითქოს ამით ყველაფერი დასრულდა. შეიქმნა რაღაც ვაკუუმი. დაიშალა გუნდი. ზოგი სად წავიდა, ზოგი - სად. ყველაფერს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა განაპირობებდა. არადა, წყალბურთის გარეშე ყოფნა აღარ შემეძლო. უნდა მეთამაშა. როდესაც უნივერსიტეტში მესამე კურსზე ვიყავი, რუსეთიდან დამიკავშირდნენ და მიმიწვიეს. თუ აქ დავრჩებოდი, წყალბურთისთვის თავი უნდა დამენებებინა. ამიტომაც გადავწყვიტე, წავსულიყავი.

პირველად რუსეთის სახელით 1997 წელს ევროპის პირველობაზე გამოვედი. მას შემდეგ ხუთი სეზონია, იქ ვთამაშობ.

**- ყველაზე მეტად რომელ ჩემპიონატს გამოარჩევდით? სად უფრო გაგიჭირდათ?**

- ნებისმიერი ასპარეზობა რთულია, მაგრამ, დაძაბულობითა და პრესტიჟით, ოლიმპიურ თამაშებს ვერც ერთი ვერ შეედრება.

**- ყველაზე დიდი წარმატება რა იყო თქვენთვის?**

- სიდნეის ოლიმპიადაზე დაკავებული მეორე ადგილი.

**- მსოფლიო თასი, ფაქტობრივად, თქვენ მოიგეთ...**

- მე ასე არ ვიტყოდი. მთლიანად გუნდის ერთსულოვნებამ მოგვაგებინა. რაკი ეს ჩემი და, საერთოდ, ჩვენი პირველი გამარჯვება გახლდათ, ძალზე გახარებული ვიყავი. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ ხშირად მოგებულ მატჩს ვთმობდით. საბედნიეროდ, ეს ფსიქოლოგიური ბარიერი უკვე გადავლახეთ.

**- ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატს თუ ადევნებდით თვალს და რას იტყოდით ჩვენს ჭაბუკებზე - აქვთ პერსპექტივა, რომ ისინი დიდ წყალბურთს ითამაშებენ?**

- ნიჭიერი ახალგაზრდები საქართველოში ყოველთვის იყვნენ. მათ ჩამოყალიბებას საქმისადმი არასწორი მიდგომა უშლის ხელს. ახალგაზრდებს ყურადღება, ჩემპიონატებში გამოწრთობა სჭირდებათ. მაგალითად, ხორვატები დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტს. ხუთმილიონიანი ერი თითქმის ყველა სახეობაში აღწევს წარმატებებს. გუნდურ სახეობებში მათი მიღწევები კი ცალკე საუბრის თემაა. არადა, მათ არანაკლებ დიდი გაჭირვება გადაიტანეს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის პრესტიჟისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ. კარგი იქნებოდა, ხორვატებისთვის მიგვებაძა.

**- საქართველოში თუ აპირებთ დაბრუნებას და, საერთოდ, რა გეგმები გაქვთ?**

- თუ იქნება სავარჯიშო პირობები - აუზში წყალი, დარბაზი, ერთი სიტყვით, ნორმალური სავარჯიშო პირობები, რატომაც არ დავბრუნდები! რაც შეეხება გეგმებს, აქ კიდევ ერთ კვირას ვიქნები. შემდეგ ზაგრებში, ჩემს კლუბში უნდა წავიდე - საკლუბო ტურნირებისთვის მოვემზადო.



ჩომახიძე „24 საათის" რედაქციაში

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## კალათბურთი

# ეროვნული ჩემპიონატი 5 ოქტომბერს დაიწყება

კალათბურთში ეროვნული, რიგით მეთორმეტე ჩემპიონატი 5 ოქტომბერს დაიწყება. კალათბურთის ფედერაციის უკანასკნელი ინფორმაციით, მონაწილეობის დამადასტურებელი განაცხადი რვა კლუბმა შეიტანა. დღეს ცნობილია, რომ ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონი, ბათუმის "ბასკო", შარშანდელი სეზონის ფინალისტი თბილისის "დინამო", დედაქალაქის კლუბები სტუ, თსუ, "მაკაბი", სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის გუნდები და რუსთავის "აზოტი". გასარკვევია ორი გუნდის - საკალათბურთო აკადემიისა და სამედიცინო უნივერსიტეტის საკითხი. განაცხადებისა და ფინანსური გარანტიების შეტანის ვადა 10 სექტემბერს იწურება. ეროვნული ჩემპიონატი ორ ეტაპად გაიმართება. პირველი ეტაპის განმავლობაში ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ოთხ წრედ ითამაშებენ. მიმოსვლით, ანუ რეგულარულ სეზონში 36 თამაში უნდა გაიმართოს. პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფის სისტემით ითამაშებენ (1-8, 2-7 და ა.შ.) უკანასკნელი წლების განმავლობაში ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობა მოუგვარებელი პრობლემა იყო. წლეულს პირველობას, მამაკაც მსაჯებთან ერთად, სამი ყოფილი კალათბურთელი ქალი - მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია და ხათუნა გაბედავა მოემსახურება. საინტერესოა, რომ მსაჯობის სურვილი გამოთქვა ქუთაისელმა კალათბურთელმა მერაბ ნაცვლიშვილმა, რომელიც ამ ეტაპზე ბავშვთა და პირველი ლიგის შეხვედრებს იმსაჯებს.

# 30 წლის შემდეგ

კახა ფაჩუაშვილი

**E ჯგუფი**

**თურქეთი – იუგოსლავია 78:110**

**ბრაზილია – ესპანეთი 67:84**

**პუერტო-რიკო – ანგოლა 89:87 (II ოვერტაიმში)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პუერტო-რიკო** | 6 | 5 | 1 | 11 |
| **ესპანეთი** | 6 | 5 | 1 | 11 |
| **იუგოსლავია** | 6 | 4 | 2 | 10 |
| **ბრაზილია** | 6 | 4 | 2 | 10 |
| **თურქეთი** | 6 | 2 | 4 | 8 |
| **ანგოლა** | 6 | 1 | 5 | 7 |

**F ჯგუფი**

**ახალი ზელანდია – ჩინეთი 94:88**

**რუსეთი – გერმანია 85:103**

**არგენტინა – აშშ 87:80**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 6 | 6 | 0 | 12 |
| **აშშ** | 6 | 5 | 1 | 11 |
| **გერმანია** | 6 | 4 | 2 | 10 |
| **ზელანდია** | 6 | 3 | 3 | 9 |
| **რუსეთი** | 6 | 2 | 4 | 8 |
| **ჩინეთი** | 6 | 1 | 5 | 7 |

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**პუერტო-რიკო – ახალი ზელანდია**
**იუგოსლავია – აშშ**
**ესპანეთი – გერმანია**
**ბრაზილია - არგენტინა**

30 წლის წინათ, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ფინალში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ამერიკული "ოცნების გუნდი". ვინ იფიქრებდა, რომ სამი ათეული წლის შემდეგ ისტორია გამეორდებოდა, ოღონდ ამჯერად მსოფლიო ჩემპიონატზე. ერთი სიტყვით, გამეორდა და დაიმსხვრა ამერიკელთა უძლეველობის მითი.

4 სექტემბერი კალათბურთის ისტორიაში ჩაიწერება, როგორც ამ ფაქტის დამადასტურებელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. 58-მატჩიანი წაუგებელი სერია დასრულდა. ეს ის მატჩებია, რომლებშიც აშშ-ის ნაკრების ღირსებას NBA-ის ვარსკვლავები იცავდნენ. სტუდენტური ლიგის კალათბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს, რასაკვირველია, ესოდენ შთამბეჭდავი შედეგები არ ჰქონდა.

და მაინც, არგენტინელთა მიღწევა უნიკალურია. ექვსიდან ექვსი მოგება და დესერტად - NBA-ის ვარსკვლავთა გაბითურება. ასეთია სამხრეთელთა მონაგარი. ეს ნამდვილი ტრიუმფია. არგენტინის უაღრესად მობილური და ორგანიზებული გუნდი საკუთარ თავზე მაღლა დადგა. ვინ იფიქრებდა, რომ ლათინოამერიკელები მოახერხებდნენ იმას, რაც კალათბურთის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა.

ეს ბევრისთვის მოულოდნელი, მაგრამ ჯორჯ კარლისთვის მოსალოდნელი შედეგი იყო. ამერიკელთა დამრიგებელი პრესის ფურცლებზე ამბობდა, რომ არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში მასპინძელთა გუნდს სრული მობილიზება და კონცენტრაცია მართებს. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ ნაწყვეტი ჯორჯ კარლის ინტერვიუდან, რომელშიც იგი არგენტინის ნაკრებს შესანიშნავს უწოდებს.

სწორედ ამ შესანიშნავმა ნაკრებმა, ხისტი დაცვისა და სწრაფი შეტევების წყალობით, დაამსხვრია კალათბურთის შემოქმედთა უძლეველობის მითი. დრო შეიცვალა - როცა "DRIM TIM"-ი მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებს იპყრობდა, არგენტინას სათვალავში არავინ აგდებდა. ახლა კი იანკებმა სამხრეთელებს მათი დამარცხების უფლება მისცეს. ეს უკვე ნონსენსი არ არის. ეს კანონზომიერებას ჰგავს, რადგან, თანამედროვე ლოზუნგის მიხედვით, კალათბურთის თამაში ყველამ ისწავლა.

ამ აზრს ჯორჯ კარლიც იზიარებს, მან ეს აქსიომა კარგად იცის. თუმცა, ამის მიუხედავად, გუნდში, მართალია, NBA-ის, მაგრამ გამოუცდელი კალათბურთელები მიიწვია. ამერიკის ნაკრებში ერთადერთი ნამდვილი ვარსკვლავი რეჯი მილერია და ისიც, ფაქტობრივად, არ თამაშობს. მან ტურნირის დაწყებამდე ტრავმა მიიღო და, შემადგენლობის შემხედვარე, საკმაოდ ფრთხილად ამბობდა, ტიტულის დასაბრუნებლად ამერიკელები თავს არ დაზოგავენო.

1992 წლის "ოცნების გუნდი" ასეთ განცხადებებს არ აკეთებდა: მაიკლ ჯორდანი, ლარი ბიორდი, მეჯიკ ჯონსონი, ჩარლზ ბარკლი სხვებს აქებდნენ, მაგრამ თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებულები იყვნენ. მოიგეს კიდეც. წლევანდელი ფორმაციის ნაკრებს არათუ 1992 წლის ლეგენდარულ DRIM TIM-ს ვერ შევადარებთ, არამედ, უბრალოდ, "ოცნების გუნდსაც" ვერ ვუწოდებთ. რეჯი მილერის გარდა, NBA-ის არც ერთი კაშკაშა ვარსკვლავი გუნდში არ ირიცხება.

მიუხედავად ამისა, ჯორჯ კარლი იმედს არ კარგავს. "მთავარია, ჩემი გუნდი ამპარტავნობას და თავდაჯერებულობას მოერიოს", – ამბობს იგი. მეოთხედფინალში ამერიკის ნაკრები იუგოსლავიის ძლიერ გუნდს ეთამაშება, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ, რაც არგენტინამ მოახერხა, ის შეიძლება "იუგებმაც" გააკეთონ.

## ფეხბურთი

# "როგორ ფიქრობ, მოვიგებთ?" - "აბა, აქ რისთვის ჩამოვედი?!"

აკა ტონია
*გერმანიიდან*

მერწმუნეთ, საქართველოს ნაკრებში ადრე ასეთ დიალოგს ხშირად ვერ მოისმენდით. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ჩამოყალიბების დღიდან, მნიშვნელოვანი მატჩების წინ, საკუთარი ძალების შეფასებას თავისი ისტორია აქვს. როდესაც ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ ფეხს იდგამდნენ, დიდი ფეხბურთის თამაში ახალი დაწყებული ჰქონდათ, ყოველ მატჩს გულუბრყვილო ოპტიმიზმით ხვდებოდნენ. ვფიქრობდით, რომ, ქართული ნიჭის წყალობით, მოკლე დროში დიდ მწვერვალებს დავიპყრობდით. ფეხბურთელთა ოპტიმიზმი გულშემატკივრებსაც გადაგვედო და სასწაულებს მოვითხოვდით.

ილუზიები ოდესღაც აუცილებლად იმსხვრევა. ქართველ გულშემატკივარს იმედები გაუცრუვდა, ჩვენს ფეხბურთელებს კი თანდათანობით სამუდამოდ დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ. ადრე მსოფლიო ფეხბურთის გრანდების წინააღმდეგ მოგებას ვგეგმავდით, ბოლო დროს კი ჩვენი ბიჭები სუსტ მოწინააღმდეგესაც ზედმეტი მოწიწებით მოიხსენიებენ. ბაზელში საქართველოს ნაკრებს ურთულესი გამოცდა ელის. მერწმუნეთ, ამჯერად ჩვენი ნაკრები შვეიცარიაში წასაგებად ნამდვილად არ მიემგზავრება.

და კიდევ: ეს ოპტიმიზმი ძალიან განსხვავდება იმ გულუბრყვილობისგან, რომელიც ჩვენს ბიჭებს ადრე ახასიათებდათ. მათ ისწავლეს საკუთარი ძალების რეალურად შეფასება. შვეიცარიასთან მატჩში ჩვენი ნაკრები წარმატებას ნამდვილად გეგმავს.

### ქინქლაძე ღამის 12 საათზე ვარჯიშს მოითხოვდა

საქართველოს ნაკრები რუიტის ბაზას დღეს, საღამოს დატოვებს და შვეიცარიაში გაემგზავრება. გერმანიაში გატარებული დღეები 8 სექტემბრის მატჩზე, ალბათ, გარკვეულ გავლენას იქონიებს. სწორედ ამ ერთი კვირის მანძილზე მიეცა ალექსანდრე ჩივაძეს თავისი შეგირდების ძალთა სრულფასოვნად შეფასების საშუალება. სწორედ რუიტში ცდილობდნენ ნაკრების მწვრთნელები თავიანთი გუნდები (ეროვნული და ახალგაზრდული) სათანადოდ მოემზადებინათ როგორც სპორტული, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

რამდენად შეძლეს, ამას 7 და 8 სექტემბერს გავიგებთ. მაგრამ წინასწარი დასკვნების გამოტანა, ვფიქრობ, მაინც შეიძლება. როდესაც ერთი კვირის მანძილზე გუნდს აკვირდები, როდესაც შენს თვალწინ გაირბენს მთელი მოსამზადებელი პერიოდი, ცხადია, გარკვეული შთაბეჭდილება გექმნება. ეს შთაბეჭდილება კი კარგი აღმოჩნდა.

31 აგვისტოს გერმანიაში ეროვნული ნაკრების მხოლოდ 6 წევრი ჩაფრინდა. დანარჩენები, უმთავრესად ლეგიონერები, გუნდს რუიტში დაემატნენ. გიორგი ქინქლაძე და გიორგი ნემსაძე რუიტში ოთხი დღის წინათ ჩავიდნენ. "დაახლოებით 12 საათი იყო, როდესაც ისინი ბაზაზე მოვიდნენ. ძალიან დაღლილები იყვნენ. ნახევარ გუნდს უკვე ეძინა. ამ დროს ქინქლაძე მეუბნება, ბურთები გამოიტანე, უნდა ვივარჯიშოო. დაახლოებით ნახევარ საათს ვარწმუნებდი, ჯობს, ოთახში ახვიდე და დაისვენო-მეთქი. ასეთი ქინქლაძე არასოდეს მინახავს..." – ამბობს ნაკრების მწვრთნელთა შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენელი.



დემეტრაძე შვეიცარიაში მოსაგებად წავიდა.

ავტორის ფოტო

იმ ექვს ფეხბურთელს შორის, რომლებიც გერმანიაში 31 აგვისტოს ჩამოფრინდნენ, გიორგი დემეტრაძე ერთადერთი ლეგიონერი იყო. ქართული დელეგაციის წევრი ტატო კობალაძე მისი და დემეტრაძის დიალოგს იხსენებს: "როდესაც რუიტში ჩავედით და ბაზას ვათვალიერებდით, "დემეს" ვკითხე: როგორ ფიქრობ, გვაქვს მოგების შანსი? მან გაკვირვებულმა შემომხედა: აბა, აქ რისთვის ჩამოვედიო".

ნაკრების ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ ასეთი განწყობა გუნდში კარგა ხანია, აღარ ყოფილა. ეს სარეკლამო ტრიუკი არ გახლავთ - ყოველივე ზემოთ ნახსენები პირად საუბრებში ითქვა და არა გაზეთისთვის.

### დღის განრიგი

რუიტში საქართველოს ნაკრები დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. დილის ვარჯიში განსაკუთრებით ინტენსიური იყო, საღამოსი კი - უფრო მსუბუქი. დიდი დრო ეთმობოდა ძალისმიერ ორთაბრძოლებს და პრესინგს. სპარინგის დროს ფეხბურთელები ისეთი "ჟილკით" თამაშობდნენ, რომ ვარჯიში დაძაბულ მატჩს წააგავდა.

ფეხბურთელებისთვის ყოველი დღე, 8.30 საათზე, აწონვით იწყებოდა. თითოეული ფეხბურთელის წონა სისტემატურად კონტროლდებოდა. წონის პრობლემა განსაკუთრებით გიორგი ქინქლაძეს აწუხებდა – ბოლო დროს საგრძნობლად მოიმატა. ახლა ის ყოველდღიურად იკლებს წონაში. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გადაურჩა გიორგი დემეტრაძის ხუმრობას, რომელიც ამტკიცებს, რომ როდესაც აწონვის დრო დგება, ქინქლაძე ბადრაგით გამოჰყავთ სასწორთან.

აწონვის შემდეგ, 9 საათზე, საუზმის დროა. 11 საათისთვის იწყება დილის ვარჯიში, რომელიც, დაახლოებით, 1,5 საათს გრძელდება. ვარჯიშის მერე ფეხბურთელები იძინებენ. შემდეგ არის თეორიული მეცადინეობა აუდიტორიაში. 18 საათზე საღამოს ვარჯიში იწყება და 1-1,5 საათს გრძელდება. საღამოს ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები სადილობენ. ამის შემდეგ მათ აქვთ თავისუფალი დრო, რომელსაც, ძირითადად, სპორტსკოლის ეზოში ატარებენ. უმთავრესი გართობა კარტის თამაში და ძველი კურიოზების გახსენებაა. აქ, ტრადიციულად, შოთა არველაძე ყველაზე მეტს ხმაურობს. მას, როგორც წესი, მხარს უბამს გიორგი დემეტრაძე. გუნდში ყველაზე ჩუმი კახი კალაძეა, თუმცა, შოთა არველაძის ხუმრობაზე ვერც ის ვერ იკავებს სიცილს. დაახლოებით 23.30 საათისთვის ფეხბურთელები საკუთარ ნომრებში მიდიან.

### ჯანაშია გუნდს გუშინწინ შეუერთდა, იაშვილი არ ითამაშებს

ალექსანდრე იაშვილი რუიტში გუშინწინ უნდა ჩამოსულიყო. აქამდე ის ფრაიბურგში საბოლოო სამედიცინო გამოკვლევას იტარებდა. იაშვილმა რამდენიმე დღის წინ დაიწყო ვარჯიში და შვეიცარიის წინააღმდეგ მისი თამაში მთელი ამ ხნის მანძილზე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ იაშვილი ვერც გუშინწინ ჩამოვიდოდა, რადგან მისთვის თამაში ჯერ არ შეიძლება. ლოკომოტივი-კოპენჰაგენის (29 აგვისტო) მატჩის შემდეგ ჩივაძემ ნაკრებში უხმო ზაზა ჯანაშიას, მაგრამ მან ვერ მოასწრო ვიზის აღება, რის გამოც ეროვნულ გუნდს 31 აგვისტოს ვერ გაჰყვა გერმანიაში. გუშინწინ ჯანაშიამ რუიტში დარეკა და ნაკრების ხელმძღვანელობას ამცნო, რომ გერმანიისა და შვეიცარიის ვიზები მიიღო და მზად არის გამოსაფრენად. ერთადერთი პრობლემა თვითმფრინავის ბილეთი იყო. თუმცა, ესეც მოგვარდა და ჯანაშია გუშინწინვე ჩამოფრინდა გერმანიაში. გუშინ მან მარტომ ივარჯიშა.

საბედნიეროდ, იაშვილი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც საქართველოს ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდება. ექიმების თქმით, სრულიად გამოჯანმრთელდა ალექსანდრე რეხვიაშვილი, რომელსაც ასევე ტრავმა ჰქონდა. გადატანილი მძიმე ტრავმის მიუხედავად, შოთა არველაძე გამოვა მოედანზე - ის სრული დატვირთვით ვარჯიშობს. პრობლემა იყო გიორგი ნემსაძესთან დაკავშირებით: ოთხი დღის წინათ მას ფეხი ეტკინა, რის გამოც ვარჯიში შეწყვიტა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ნემსაძე განაგრძობს ვარჯიშს და შვეიცარიის წინააღმდეგ ითამაშებს.

გოჩა ჯამარაულს, უგუნდოდ ყოფნის გამო, გასული სეზონი გაუცდა. მან საგრძნობლად მოუმატა თამაშს და ჩვეულ ფორმას უბრუნდება. განსაკუთრებით კარგ ფორმაშია გიორგი დემეტრაძე.

ასე რომ, საქართველოს ნაკრებს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი აკლია, თუ არ ჩავთვლით თემურ ქეცბაიას, რომელიც გერმანიაში გამგზავრებამდე დაშავდა და კარგა ხანს ვერ ითამაშებს. ქეცბაია ბაზელში ჩავა, ოღონდ მაყურებლის რანგში.

### ახალგაზრდულ ნაკრებს ახალაია გამოაკლდება

პრობლემები აქვს ახალგაზრდულ ნაკრებს. შვეიცარიაში, ალბათ, ვერ ითამაშებს თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი ახალაია, რომელსაც ძველმა ტრავმამ გაუხსენა. ამის გამო რუიტის ბაზაზე ვარჯიშებში მონაწილეობას ვერ იღებდა.

ეს დიდი დანაკლისია არა მარტო ახალგაზრდული ნაკრებისთვის, არამედ ეროვნული გუნდისთვისაც. ჩივაძე დიდი სიმპათიით არის განწყობილი მის მიმართ - ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში თამაშის შემდეგ, ჩივაძე შვეიცარიის წინააღმდეგ მატჩში ახალაიას, სავარაუდოდ, ეროვნული ნაკრების სათადარიგო სკამზე დასვამდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ, 14 საათზე, ავტობუსით გაემგზავრა შვეიცარიაში.

გუშინვე რუიტში ჩამოვიდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე და რეზო არველაძე. ისინი სპორტსკოლის მახლობლად მდებარე სასტუმროში დაბინავდნენ.

საქართველოს ნაკრებს ბაზელის სტადიონზე გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან შვეიცარიაში ჩასვლას აპირებენ ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტები. ასე რომ, ჩვენი ნაკრები მარტო არ იქნება.

## ანტიტერორისტული აქცია ვაკის პარკში

თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის, კულტურის სამინისტროსა და საქართველოში აშშ საელჩოს ინიციატივით, ვაკის პარკში 11 სექტემბრის ტერაქტისადმი მიძღვნილი აქცია გაიმართება.

აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მსახიობები, მხატვრები და ესტრადის მომღერლები; გაიმართება ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. აქციაზე, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის საშუალებით, ვანო ზოდელავასა და ნიუ იორკის ყოფილ მერს რუდოლფ ჯულიანს შორის გაიმართება ტელეხიდი.

ვაკის პარკის აქცია 11 სექტემბერს, სიმბოლურად, 17.20 საათზე დაიწყება. 2001 წელს ტერორისტებმა ამერიკაში ტერაქტი ზუსტად ამ დროს განახორციელეს.

## გია ბუღაძე ტექნიკური უნივერსიტეტის კედლების მოხატვაზე მუშაობს

მხატვარი გია ბუღაძე ტექნიკურ უნივერსიტეტში კედლების მოხატვას სულ მალე დაასრულებს.

გია ბუღაძე კედლების მოხატვით დიდი ხნის წინათ დაინტერესდა. ეს მისი მერვე ნამუშევარია. ტექნიკურ უნივერსიტეტში კედლების მოხატვა მხატვარმა ზაფხულში დაიწყო. ნამუშევრის პრეზენტაცია ამ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნება. უნივერსიტეტის კედლებზე, ტექნიკურ საგნებთან ერთად, ზოდიაქოს ნიშნებიცაა გამოსახული.

**(მედია-ნიუსი)**

## ოსკარ პიტერსონი საუკეთესო პედაგოგი

იანვარში, ნიუ-იორკის ყოველწლიურ კონფერენციაზე, ოსკარ პიტერსონს ჯაზური განათლების საერთაშორისო ასოციაციის პრესტიჟულ ჯილდოს გადასცემენ. "სამართლიანი იქნება, ვაღიაროთ, რომ ოსკარ პიტერსონი ცოცხალი ლეგენდაა" – თქვა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბილ მაკფარლინმა.

პრემიის 30-წლიანი ისტორიის განმავლობაში პიტერსონი პირველი არაამერიკელი პრეტენდენტი იქნება, რომელსაც მომღერალი ნენსი ვილსონი საზეიმო სადილით გაუმასპინძლდება. შარშან იგივე ტიტულით ცნობილი კომპოზიტორი და პროდიუსერი ქვინსი ჯონსი დააჯილდოვეს.

კონფერენციას, რომელიც 8-11 იანვარსაა დაგეგმილი, შვიდი ათასზე მეტი მონაწილე ეყოლება 35 ქვეყნიდან. მათ შორის იქნებიან: პედაგოგები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, ხმისჩამწერი კომპანიების წარმომადგენლები და უბრალოდ, ჯაზის მოყვარულები.

## დანიის უფლისწული საბავშვო ბაღში

პირველად დანიის სამეფო კარის ისტორიაში, ნამდვილი უფლისწული საბავშვო ბაღში წავიდა. სამი წლის პრინცი ნიკოლაი გვირგვინოსანმა მშობლებმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში, მიოგელთონდერში, საბავშვო ბაღში მიიყვანეს. ეს ბაღი იმიტომ აირჩიეს, რომ შაკენბორგის სასახლესთან ახლოსაა.

კოპენჰაგენელების ნაწილს მიაჩნია, რომ ამ გზით მეფის კარი თავის გადარჩენას ლამობს, რათა მომავალი თაობა მაინც დაუახლოვდეს საკუთარ ხალხს. წინა თაობა საგანგებო საბავშვო ბაღში დადიოდა, უფლისწულ ნიკოლაის მშობლებმა კი განაცხადეს: "ვცდილობთ, ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა მივცეთ ბავშვს, გვინდა, მან თანატოლებთან ერთად იმხიარულოს".

## გარდაიცვალა ლი თომპსონი

ზაფხულის გასატარებლად კანადაში ჩასულ 88 წლის ლი თომპსონს გულმა უმტყუნა. რეჟისორი, რომელსაც 50-ზე მეტი ფილმი აქვს გადაღებული და ოსკარის ლაურეატიც იყო, ჩვენთან, ძირითადად, ორი ფილმითაა ცნობილი: "მაიმუნების პლანეტების დაპყრობა" და "ბრძოლა მაიმუნების პლანეტაზე".

## იყიდება ბუშის სახლი

თუკი, მაინცდამაინც შეერთებული შტატების პრეზიდენტების სახლში გინდათ ცხოვრება, ახლა ამის საუკეთესო საშუალება გეძლევათ: ინტერნეტის უძრავი ქონების აუქციონზე გამოტანილია სახლი ტეხასში, რომელშიც, 40 წლის წინათ, პრეზიდენტი ჯორჯ ბუშის ოჯახი ცხოვრობდა.

ექს-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და მისმა მეუღლემ, ბარბარამ სახლი 1958 წელს ააშენეს. შენობის საერთო ფართობი 310 კვადრატულ მეტრია; აქვს ოთხი საძინებელი ოთახი და სამი სააბაზანო. მიმდებარე პარკში პატარა ჯორჯი თამაშობდა ხოლმე. ბუშებმა ამ სახლში ორ წელიწადს იცხოვრეს.



# სკანდალი და მისი მსხვერპლი



რეჟისორი ლარი კლარკი და ამერიკელი მსახიობი ტიფანი ლიმოსი



მიკელე პლაჩიდო, სტეფანო აკორსი, ლაურა მორანტე REUTERS

"სექსი და ორგია: "კენ პარკის" სკანდალი გასკდა", - ამ სათაურით დაიბეჭდა ვენეციურ გაზეთში "ილ გაზეტინო" ლარი კლარკის უკვე გახმაურებული ფილმის რეცენზია. მართლაც, "კენ პარკმა" თავისი გულახდილი სექსუალური და ეროტიკული სცენებით აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ფილმმა იმ დღეს ნაჩვენები ყველა სურათი დაჩრდილა. რეჟისორმა ოთხი არეული ოჯახის ცხოვრება ისეთი სექსუალური სცენებით აღწერა, რომ ფესტივალზე ჩასულმა რეჟისორებმა ერთხმად აღიარეს – ეს უკვე ყოველგვარ საზღვარს სცდება.

როგორც ჩანს, "კენ პარკი" მართლაც ყოველგვარ საზღვარს სცდება, თორემ ვინც ამ რეჟისორის შემოქმედებას იცნობს, მისგან მსგავსი გულახდილობა არ უნდა გაუკვირდეს: 1995 წელს კლარკმა გადაიღო ფილმი (მანაც უმალ მოიპოვა სკანდალურის სტატუსი) "ბავშვები", რომელიც მოზარდების სექსსა და ნარკომანიას ეხება. გარდა ამისა, კლარკის ეროტიკული ჟანრის ფოტოები მსოფლიოს მრავალ მუზეუმშია გამოფენილი. "კენ პარკზე" რეჟისორი ამბობს: "მე ვაჩვენებ ყველაფერს... ჩემი ფილმი არის არა პორნოგრაფიული, არამედ "გულწრფელი და ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში მრავლად ხდება, მაგრამ მათზე ხმამაღლა არავინ საუბრობს". ფილმისადმი საზოგადოების ცნობისმოყვარეობა გაამძაფრა 22 წლის მსახიობმა ტიფანი ლიმოსმაც. "ის სცდება ყოველგვარ რეიტინგს, ის ყველაფერს აჭარბებს, რაც კი ოდესმე გინახავთ", - განუცხადა მან "ნიუ იორკ ობზერვერს".

ამ სკანდალის მსხვერპლი გახდა, იმავე დღეს ნაჩვენები ორი სხვა ფილმი. იტალიელი რეჟისორი მიკელე პლაჩიდო (მას ქართველი მაყურებელი იცნობს მრავალსერიანი ფილმიდან "რვაფეხა") საზოგადოებამ თბილად მიიღო. თუმცა, "კენ პარკით" მიღებული შოკი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ვერავინ დაუდო გული პლაჩიდოს ახალ ნამუშევარს "მოგზაურობა, რომელსაც ჰქვია სიყვარული" (Un viaggio chiamato amore). ფილმში მოქმედება 1916 წელს იწყება, ანუ მაშინ, როცა დაიწყო ორი იტალიელი მწერლის, სიბილა ალერამოსა და დინო კამპანას სიყვარული. ვნებიანი და ხანდახან ძალადობრივი სცენებით პლაჩიდო სწორედ მათი ურთიერთობის ისტორიას აღწერს. სიბილა ალერამოს როლს ასრულებს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი ლაურა მორანტე (ის ვენეციის ფესტივალზე ჯონ მალკოვიჩის ფილმშიც The Dancer Upstairs გამოჩნდება). ხოლო დინო კამპანას როლს განასახიერებს სტეფანო აკორსი (ფილმიდან "უკანასკნელი კოცნა" L'ultimo bacio).

მსხვერპლი ნომერი ორი გახდა სერგეი ბოდროვის ფილმი "დათვის კოცნა" – ცირკის მსახიობი ლოლას ისტორია. მას ძალიან უყვარს თავისი დათვი მიშა, რომელიც, დროდადრო, ადამიანად იქცევა. ფაქტია, ზღაპარივით ჟღერს, მაგრამ რეჟისორი მას უფრო ნამდვილ ამბად აღიქვამს: "შამანების ისტორიები ბავშვობაში შევისწავლე. ამიტომ დათვი მიშას ამბავი ჩემთვის სრულიად რეალურად ჟღერს", - აცხადებს რეჟისორი, რომელიც ფილმისთვის "მთების ტყვე" "ოსკარზეც" იყო წარდგენილი.

## სრულიად უცნობი შედევრი

დღეს მსოფლიოში სტრადივარიუსის ვიოლიონებიდან 500 ცალიღაა შემორჩენილი. მათგან ერთ-ერთი ლონდონში, "კრისტის" აუქციონზე 13 ნოემბერს გაიყიდება. ექსპერტების ვარაუდით, ღირებულებამ შესაძლოა, 850 ათას გირვანქა სტერლინგსაც მიაღწიოს. მათივე ცნობით, სტრადივარიუსის ეს ვიოლინო არასდროს მოხვედრილა პროფესიონალი მუსიკოსის ხელში, შესაბამისად, არც ერთ კონცერტში არ მიუღია მონაწილეობა და ამიტომ ძალიან კარგ მდგომარეობაშია. მის ფასს სწორედ ეს დეტალი განსაზღვრავს. ვიოლინო დათარიღებულია 1726 წლით, ანუ ის ერთი წლით დიდია "რეკორდსმენ" სტრადივარიუსზე, რომელიც 947 500 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. თუმცა, ერთგვარ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ვიოლიონოს საინტერესო ისტორია არ აქვს. ის თავიდანვე კოლექციონერების საკუთრებას წარმოადგენდა და ახლაც აუქციონზე ის ერთ-ერთი კერძო მფლობელის კოლექციიდან გადის. სტრადივარიუსის მესაკუთრე ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს.

## ლონდონი ირჩევს წლის მამაკაცს

მამაკაცების ჟურნალმა GQ ბრიტანეთის დამსახურებული კაცები გამოავლინა. ცერემონია ლონდონში უკვე მეოთხე წელია, იმართება და ბრიტანელებისთვის ერთგვარ ტრადიციადაც იქცა. გუშინ წლის მამაკაცის წოდება მოიპოვა დიზაინერმა პოლ სმიტმა, რომელსაც აღფრთოვანების დამალვა არც უცდია და განაცხადა: "აბსოლუტურად ბედნიერი ვარ". სიხარულს ვერ მალავდა ვერც დევიდ ბოუი, რომელიც GQ-ს სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. ჯუდ ლოუს კი რედაქტორის პრიზი მიენიჭა. წარმატებას ყველაზე მშვიდად შეხვდა დევიდ ბექჰემი – ის წლის სპორტსმენად უკვე მეორედ აირჩიეს. ყველაზე კარგად ჩამცმელი კი ელტონ ჯონის პარტნიორი მამაკაცი, დევიდ ფარნიში გახდა. ფარნიშმა სცენიდან სიცილით განაცხადა: "მოდი, ვაღიაროთ, მე აქ არ ვიდგებოდი, რომ არ იყოს კაცი, რომელიც ჩემთვის ტანსაცმელს ყიდულობს". ერთი სიტყვით, ამ პომპეზურ ღონისძიებაზე მთავარ როლში მამაკაცები იყვნენ. თუმცა, ბუნებრივია, წვეულება მანდილოსანთა გარეშე ეშხს დაკარგავდა, მით უფრო, როცა საუბარია ჯეიდ ჯაგერსა და სტელა მაკარტნიზე. გამარჯვებულ მამაკაცებს სწორედ ისინი აჯილდოვებდნენ.

## იაპონური კროსვორდი



## TV პროგრამა 6 სექტემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გერმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელი
18.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.00 ჩვენი ეზო
00.20 მხ.ფილმი "ტრიუკების ოსტატი".
02.30 მხ.ფილმი "არც ერთი სიტყვა".

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "კაცი, რომელიც ტიროდა"
11.35 "ბალეტი ყინულზე"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "მხოლოდ კლასიკა"
15.15 მხ. ფილმი "ფერმა "მესე" საიდუმლო"
16.45 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ენა დედაა ერისა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "მრავალსახეობა"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ქამელეონი"
01.25 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „მხოლოდ შენთვის"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 დოკ. ფილმი „წყვილები და დუეტები"
21.25 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი „ვიდოკი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 სერიალი "უზრიუმ-მდინარე"
20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია"
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 მხატვრული ფილმი "ფერფლი და ალმასი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "უკანასკნელი დღესასწაული"
10.00, 13.00, 15.00, ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "ასტრონავტის ცოლი"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "წითელი"
22.30 მხ.ფ. "დიდი იმედები"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.00 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დუბლიორები"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 რუსული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "გრავო" მხ.ფ. "ზარალის ანაზღაურება".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "შეთქმულების საიდუმლო"
03.10 ნონ-სტოპი

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" (43-ე სერია)
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
10.15, 12.00, 14.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "ტარაკანა"
12.20 მხ. ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი"
14.00, 19.00 დოკ. ფილმი "ფრანგი მხატვრები - პალიტრა"
15.00 დოკ. ფილმი "ზილიკების ენა"
16.15 მხ. ფილმი "ანგელოზის გადაფრენა"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" (44-ე სერია)
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
19.30 მუსიკალური გადაცემა "ზელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.20 მულტფილმი "ინსპექტორი გეჯეტი შოგის გადასარჩენად"
22.10 მხ.ფ. "ცივი გული"
00.40 მხ. ფილმი "საზედისწერო წერილები".

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხ. ფილმი "ვინ არის მეოთხე"
10.55 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ბეთჰოვენი 3"
13.50 თრილერი "ფანატი"
16.15 მულტფილმი "შავი ტიტა"
17.05 მელოდრამა "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 ქართული მხატვრული ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 კომედია "არტისტი"
03.30 დრამა "მეექვსე გრძნობა"
05.10 დოკუმენტური ფილმი "სან-მარინო"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მელოდია
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 მუსიკალური ბიორითმი
11.15 ანიმაცია
11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.35 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.05 მელოდია
12.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო - ტელე
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.35 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.05 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.25 მოკლედ...სპორტი
21.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.40 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
22.10 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "არწივთა ბუდე"
00.40 მელოდია
00.45 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
01.30 მუსიკალური ბიორითმი
02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00 Новости
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.15 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СУДНЫЙ ДЕНЬ".
12.20 Объектив
12.35 "ТВИНИСЫ"
13.15 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ"
14.45, 16.15 "Ералаш"
15.00 Многосерийный фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2".
16.30 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК".
17.40 Х.ф. "ТРАНЗИТ"
19.00 Вечерние новости.
20.15 Человек и закон
20.50 Поле чудес
22.00, 01.00 Время.
22.35 Юмористическая программа
00.00 Х.ф. "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ-5: ЗАДАНИЕ-МАЙАМ БИЧ"
01.45 Х.ф. "36 ЧАСОВ, ЧТОБЫ УМЕРЕТЬ"
03.40 Премьера сериала "ПРИШЕЛЕЦ".

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 "Сам себе режиссер"
11.50 Вести.. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 Ток-шоу "Цена успеха".
14.30 "Мусульмане".
14.45 ВЕСТИ - МОСКВА.
15.20 ВЕСТИ - СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛЮ ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Сказки о любви".
19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.50 Телеигра "Ставка".
22.20 "ШИРЛИ-МЫРЛИ"
01.15 "БЕЗУМНЫЙ МАКС".

### НТВ

07.00, 07.30, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
07.05, 07.35, 08.10, Утро на НТВ.
09.35 "ШЕЙХ БАДИЯР. ИСТОРИЯ ЛЮБВИ И МЕСТИ"
11.25 "Совершенно секретно"
12.15 "Вы будете смеятся"
12.50 Вкусные истории.
13.20, 19.35 Криминал.
13.35 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной.
14.00 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
15.05 Ток-шоу. "Принцип "Домино".
16.20 Пепси-чарт
17.30, 21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
18.35 "Внимание: розыск!"
20.40 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
23.30 "ЗАРЯЖЕННОЕ ОРУЖИЕ"
01.20 "Все сразу!"
01.55 "БОЛЬШОЙ СОН"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


ყაზბეგი

ონკოლოგიურ ცენტრში

პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა თავკისრის მიდამოს სიმსივნეებით დაავადებულებში.

კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა

ტელ 25-38-55
899 98-03-64

OTO FOOX & GLOBAL VENTURES (USA)

ოტო ფუქსისა და გლობალ ვენჩერსის (აშშ)

საერთაშორისო განათლების პროგრამა გთავაზობთ

ინგლისური ენის

შესწავლას შემდგომი სტაჟირებით

ამერიკასა და ინგლისში

რუსთაველის 36
ტელ: 99-72-04

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024 იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში